პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

F75 №=842

მარქსის სახ. საქ. სა[illegible] საჯარო ბიბლიოთეკა

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მილ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია: ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა ტფილისი, რუსთაველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ზელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დ ღ ი უ რ ი

— რურის ოლქში [illegible] დაიწყო. ამის გამო, [illegible] ქარხნებში, მუშაობა შეწყდა.

— გერმანიაში მდგომარეობა გართულდა. ერთის მხრით ბურჟუაზიული პარტიები და შეიდემანელები ცდილობენ კუნოს მთავრობის გამაგრებას, მეორე მხრივ მემარცხენე სოც-დემ. და მუშები მის გადადგომას მოითხოვენ.

— საბოლოოთ გამოირკვა, რომ საფრანგეთი და ინგლისი ვერ შეთანხმდენ საკონტრიბუციო საკითხში. კერზონი და ბალდვინი საკონტრიბუციო საკითხის შესახებ დეკლარაციით გამოვიდენ თემთა და ლორდთა პალატაში.

№ 178 შაბათი 4 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 178

საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის

4 აგვისტოდან 12 აგვისტომდე

საჰაერო ფლოტის კვირეულია.

ყველაფერი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ

შაბათი, 4 აგვისტო: წარმოდგენა პროფკავშირთა კლუბში. დასაწყისი 7 საათზე.

კვირა, 5 აგვისტო: ქართველ წითელარმიელთა კლუბში სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.

ქართული დივიზია—საჰაერო ფლოტს.

სეირნობა „ორჯონიკიძისა და სტალინის“ სახელობის (ყოფ. მუშტაიდი) და წითელარმიელთა ცენტრ. კლუბებში.

ორშაბათი, 6 აგვისტო: კინო საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ, (კინო-პალასი, ვარსკვლავი, ეთერი, ოაზისი, არფისტო).

სამშაბათი, 7 აგვისტო: მუშათა ცენტრალურ კლუბში პიესა „წითელი არწივები“.

ოთხშაბათი, 8 აგვისტო: კავკასიის ცალკე არმიის შიმშილობის შედეგებთან მებრძოლი კომიტ.—საჰაერო ფლოტს. საღამო წარმოდგენა „დაისების ბაღში“.

ჰაეროდრომზე საჰაერო ფლოტის ალლუმი.

ხუთშაბათი, 9 აგვისტო: პროფკავშირთა საბჭოს კლუბი—„წითელი არწივები“. მუშტაიდში მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

პარასკევი, 10 აგვისტო: ნაძალადევი „წითელი არწივები“. ავლაბრის კლუბში—მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ.

შაბათი, 11 აგვისტო: ავლაბრის კლუბი—„წითელი არწივები“. „ახალ წრეში“ **დიდი სეირნობა.**

კვირა 12 აგვისტო: მუშტაიდი—„წითელი არწივები“. ქართველ წითელარმიელთა კლუბში—**სეირნობა, წარმოდგენა, კაბარე.**

კავკასიის ცალკე არმია—საჰაერო ფლოტს.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

ორშაბათს, 6 აგვისტოს, მუშათა ცენტრ. კლუბის საზაფხულო შენობაში

გაიმართება საბჭოს

გაფართოებული სხდომა

ფაბრიკა-ქარხნების და ადგილ-კომების თანდასწრებით.

დღის წესრიგშია:

საჰაერო ფლოტის კვირეულის მნიშვნელობა [illegible] ფლიაშა.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე. **საბჭოს პრეზიდიუმი.**

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია

აცხადებს, რომ 6 აგვისტოდან ჰაეროდრომზე მოხდება

სანიმუშო გაფრენა

მუშებისა და ექსკურსიებისათვის. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

ყველა საკითხებში, რომელიც დაკავშირებულია ექსკურსიებთან უნდა მიმართონ ტფილისის კომიტეტში ამხ. ნაზაროვს და საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 2-ე რაიკომს. ტელეფონი 17—38 ან 2—46.

ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულის განმავლობაში მუშტაიდის ბაღში, კახეთის და გაგზლის მოედნებზე და ყოფილ სამხედრო ტაძრის გალავანში

აჩვენებენ ჰაეროპლანებს

სათანადო განმარტებებით.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

საჰაერო ფლოტის კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია.

საჰაერო ფლოტის კვირეულისათვის

დღეს იწყება საჰაერო ფლოტის კვირეული.

მისი მიზანია საჰაერო ფლოტის იდეის პოპულიარიზაცია, ფართე მასების გაცნობა მის მნიშვნელობასთან, ავიაციისადმი ცხოველი ინტერესის გამოწვევა ხალხში, უკანასკნელის ჩაბმა საავიაციო აღმშენებლობაში, მატერიალური საშუალებათა შეგროვება საჰაერო ფლოტის შესაქმნელად.

კოლოსალურია საჰაერო ფლოტის როლი და მნიშვნელობა ყოველმხრივ, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დარგში.

გავლილ მსოფლიო ომში სამხედრო ავიაციამ საგრძნობი როლი შეასრულა. და ეს მაშინ, როცა ავიაცია შედარებით არ იყო განვითარებული თავისი ტეხნიკით და არც ჰაეროპლანების საკმაო რაოდენობა მოიპოვებოდა.

მომავალ შეიარაღებულ შეტაკებებში, რომლებისათვის ასე გაფაციცებით ემზადება ბურჟუაზიული მსოფლიო, სამხედრო საჰაერო ფლოტს ეკისრება თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა, როგორც მოწინააღმდეგის ზურგის და ადგილ-მდებარეობის დაზვერვა — ისე ჰაერიდან მტრის [illegible]ში და მშვიდობიან მოსახლეობაში დიდძალ ასაფეთქებელ მასალის ჩამოყრის, მათი განადგურების, მათში პანიკის გამოწვევის და არევ-დარევის შეტანის საქმეში.

ბურჟუაზიული მეცნიერები პირდაპირ ჯოჯოხეთურ საჰაერო მანქანებს იგონებენ ხალხის შესამუსრავად და მისი სიმდიდრის გასანიავებლად. ტეხნიკის ბოლო დროის მიღწევები ამ მხრივ განსაცვიფრებელია.

მომავალ საჰაერო ომის საშინელებასთან შედარებით სალაპარაკოდაც არ ღირება აქამდე ისტორიაში მომხდარი ომები, მათ შორის უკანასკნელი მსოფლიო ომიც.

ბურჟუაზიულ ქვეყნების მთელი გულისყურიც სწორედ სამხედრო ფლოტის შექმნისა და გაძლიერებისაკენაა მიმართული. ისინი ამაში ეჯიბრებიან ერთმანეთს, ამ სფეროში ისახავენ და კიდეც ახორციელებენ გრანდიოზულ პროგრამებს, საჰაერო ფლოტზე ისინი სდებენ სახელმწიფო ბიუჯეტის ფრიად საგრძნობ ნაწილს.

წინასწარმეტყველება არ უნდა იმას, რომ მთელი ეს მზადება უმთავრესად და პირველ ყოვლისა მიმართულია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ. ჩვენი რესპუბლიკები დღემდე გარშემორტყმული არიან იმპერიალისტური სახელმწიფოებით, უთვალავი მტრებით, რომელთაც კიდევ არ აუღიათ ხელი განთავისუფლებულ მშრომელთა კვლავ დამონების ფიქრზე და ცდაზე.

ჩვენ გულხელდაკრეფილი არ შეგვიძლია უცქიროთ იმ სამხედრო სამზადისს, კერძოდ სამხედრო ფლოტის გაძლიერებას, რომელსაც ადგილი აქვს მოწინააღმდეგე ბანაკში.

საბჭოთა ხელისუფლება, რომელსაც უაღრესი მშვიდობის მოყვარეობა ახასიათებს,—რაც მან არა ერთხელ დაამტკიცა,—იძულებულია თავდაცვის მიზნით მოკიდოს ხელი საჰაერო ფლოტის შექმნას. რაც უფრო მეტი ჰაეროპლანი და ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ჰაეროპლანი გვექნება, მით უფრო შეგვიძლია უშიშრად, ჩავთვალოთ თავი მტრების თავდასხმისაგან, მით უფრო ნაკლები ხალისი აღეძრება მათ ჩვენზე გამონავარდებისათვის.

დაცვა საბჭოთა რესპუბლიკების, შენარჩუნება რევოლიუციის მონაპოვართა, შექმნა მშვიდობიანი აღმშენებლობის პირობების,—აი მთავარი მიზანი, რომელიც საფუძვლად უდევს მთელ ჩვენ სამხედრო პოლიტიკას და კერძოდ სამხედრო ავიაციის ორგანიზაციას.

ამ ტომ, ყველა იმათ, ვისთვისაც ძვირფასია მშრომელთა თავისუფლება, შრომის სუფევის განმტკიცება, ხელი უნდა შეუწყონ საბჭოთა ავიაციის განვითარებას და ამ საქმისათვის არ დაიშურონ თავისი წვლილი.

საბჭოთა ხელისუფლება თავის მხრივ იღებს ყოველგვარ ზომას წითელი საჰაერო ფლოტის შესაქმნელად. მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს რესურსები მცირეა და მარტო მთავრობა ბევრს ვერაფერს გახდება ამ საქმის წარმატებით გათავებისათვის. აქ საჭიროა მთელი მშრომელი მასის ამოძრავება, მისი თანაგრძნობა, მის მიერ თავის ღარიბი ჯიბიდან ამ საქმისათვის ნაღვლარი კაპეიკების გადადება.

საბჭოთა ხელისუფლება ძლიერია სწორედ იმით, რომ ის ყოველ თავის დაწყებულებაში ხალხს ემყარება. საჰაერო ფლოტის შექმნაშიც ხალხი უნდა გამოვიდეს და გვერდში ამოუდგეს თავის მთავრობას. და ასეც ხდება.

ამას მოწმობს ის უსაზღვრო ენტუზიაზმი, რომლითაც შეხვდება წითელი ფლოტის შექმნის საკითხს საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი ხალხი.

მაშინ, როცა ბურჟუაზიულ ქვეყნებში სამხედრო საქმის განხილვა და მისთვის ხარჯების გაღება ხდება პარლამენტების და მთავრობათა ბნელ კუნჭულებში, და ამის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებს მუშათა კლასი, რომელმაც იცის, რომ ეს სამხედრო სამზადისი მიმართულია მშრომელ მასსების და ხალხთა დამონებისაკენ, ჩვენში, საბჭოთა რესპუბლიკებში, ესაა საქმე თვით მშრომელი ხალხის, რომელიც მხოლოდ იცავს თავის თავს იმპერიალისტებისგან.

მან იცის, რომ წითელი საჰაერო ფლოტი — ეს საწინდარია მისი მშვიდობიანობის, და მის შესაქმნელად ის არაფერს იშურებს.

მაგრამ საჰაერო ფლოტს აქვს არა მარტო ეს მნიშვნელობა, ესაა არა მარტო თავდაცვის საშუალება.

საჰაერო ფლოტს აქვს უდიდესი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებაში.

ყველამ ვიცით, რა ცუდ მდგომარეობაშია ჩვენში მიმოსვლის, ფოსტის გადატანის და სოფელთან კავშირის გაბმის საქმე.

საჰაერო ფლოტი აქ კოლოსალურ როლს შეასრულებს. ის მჭიდროდ გადააბამს ცენტრთან მივარდნილ კუთხეებსაც და ამ უკანასკნელთ ურთიერთ შორის; მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება სწრაფად მიწოდება ყველა ალაგისათვის კორესპონდენციების და საჭირო მასალის, თავის დროზე მიშველება სოფლისათვის როგორც ორგანიზატორულ ძალების, ისე საჭირო საგნების და სხვა.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით საჰაერო ფლოტის სარგებლობის ყველა მხარეს ქვეყნის მეურნეობის და ხალხის კულტურულ აღორძინების საქმეში.

დაწყებულ კამპანიის დროს ეს საკითხი უნდა იქნას გაშუქებული ვრცლად და ყოველ მხრივ.

და ხალხი, რომელიც შეიგნებს საჰაერო ფლოტის დიად მნიშვნელობას, კიდეც გამონახავს საშუალებას მის შესაქმნელად.

მშრომელთა ავიაცია

მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ, ამხ. ტროცკის სახით, საბჭოთა სოც. რესპუბლიკების კავშირის წინაშე წამოაყენა ლოზუნგი: „ჩვენთვის საჭიროა წითელი საჰაერო ფლოტი“.

ლოზუნგი წამოყენებული იყო იმ მომენტში, როდესაც იმპერიალისტურ ომის დროს გადარჩენილი საავიაციო ტეხნიკური ქონების მარაგი, რომელიც ჩვენ მოგვეპოვებოდა გამოილია, თვითმფრინავები გაცვდენ ჩვენი ავიო და მატორების სააღმშენებლო ქარხნების მეტად სუსტი ნაყოფიერების პირობებში. საჰაერო ფლოტის შექმნა კი, ვიტყვი პირდაპირ, არაფრისაგან ძალიან ძნელი საქმეა და მოითხოვს დიდძალ საშუალებებს და მიუხედავად, როგორც ტეხნიკური ისე ფინანსიური ხასიათის დაბრკოლებისა მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ მაინც წამოაყენა ასეთი ლოზუნგი, ეს იმას ნიშნავს, რომ საჰაერო ფლოტის შექმნას აქვს დიდი მნიშვნელობა.

არა იმისთვის, რომ არ გვინდა ჩამოვრჩეთ დასავლეთს სიახლის შემოღებაში, ჩვენ ვიწყებთ ესოდენ ძნელი ამოცანის შესრულებას—როგორც არის საჰაერო ფლოტის შექმნა, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. იგი საჭიროა როგორც სახმარი იარაღი, ჩვენი საზღვრების და დამოუკიდებელ ცხოვრების დასაცავად, იგი საჭიროა ჩვენთვის სამეურნეო ნგრევის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზედაც, როგორც სწრაფი და საიმედო ტრანსპორტი, კავშირის საშუალება და სხვა მრავალ-კულტურულ ამოცანებისათვისაც, რომლითაც არსებითად არის დაინტერესებული საბჭოთა რესპუბლიკების თვითეული მუშა და გლეხი. თვითმფრინავი, რომელიც იცავს ტყეების ცეცხლის გაჩენისაგან, რომელსაც გადააქვს მედიკამენტები და გადაყავს ექიმი სოფელში, რომელსაც გადააქვს სათესლე მასალა, გაზეთები, ლიტერატურა და მიჰყავს თვით გლეხი სოფლიდან ქალაქში და უკან, არ შეიძლება არ აინტერესებდეს გლეხს, თუ უკანასკნელს მივაწვდებთ სათანადო ინფორმაციას მფრინავ აპარატის ყოლის და მნიშვნელობის შესახებ.

მანქანის სარგებლიანობის მიხვედრა გლეხს შეუძლია. უკვე არა ერთი ცდილა იმედით უცქერის ტრაქტორს. ამ მანქანას ის გაიცნო. მან გაიგო, რომ მანქანა დახმარებას გაუწევს მას. ერთი ვერ შესძლებს მის შეძენას, მაგრამ კოლექტიურად კი გამოიყენებენ მას. უნდა დავაინტერესოთ გლეხი მფრინავი მანქანით—თვით მფრინავით, დავაყენოთ იგი მის მკერდით და გავაცნოთ ერთი მეორეს მაგრამ ვფიქრობთ, რომ გლეხების მიერ თვითმფრინავით სარგებლობის საკითხი, სარგებლობის ვიწრო მნიშვნელობით მიწოდ-მოქმედების საქმეში (დათესვა ავით მფრინავით, ბრძოლა მავნეებთან და სხვ.) მომავლის საქმეა, დღევანდელი დღის უახლოეს ამოცანას კი შეადგენს საჰაერო ტრანსპორტი და კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის. თუ ამხ ლენინის სიტყვით, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა დღეს არის „კულტუროსნობა“, ეს შესაძლებელია მხოლოდ ქალაქის და სოფლის მჭიდრო კავშირის დროს. თუ ჩვენი გლეხი ნაკლებად კულტუროსანია, ეს იმიტომ, რომ მასთან ძალიან გვიან და ზოგჯერ სულაც არ აღწევს ლიტერატურა, გაზეთი, ინსტრუქტორი, ის არ ჩამოდის ქალაქში, ხოლო ქალაქიდან მას იშვიათად ნახულობენ. უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ისედაც მცირერიცხოვანი გზები ქალაქებთან სოფლებისაკენ ბალახით დაიფარა. გზების გარეშე კი კულტურა შეუძლებელია, საჰაერო ტრანსპორტი გვიყვანს მრავალ გზებს ქალაქიდან სოფელში და პირიქით თვითმფრინავი დააკავშირებს სოფელს და ქალაქს, მრეწველობას და სასოფლო მეურნეობას.

და ლოზუნგი, ძლიერი საჰაერო ფლოტის, როგორც სამხედრო, ისე კომერციული, მშვიდობიანი და სამხედრო ხმარებისათვის ორნაირად გამოსადეგი საჰაერო ფლოტი უსათუოთ იპოვის ფართო გამოძახილს საბჭოთა რესპუბლიკების ყველა მოქალაქეების გულში. საჰაერო ფლოტის კვირეულში იქნება შემოწირულები ხალხის ნაღვლარი ფულებით აშენდება ძლიერი საჰაერო ფლოტი.

დ. ტ.

სამოქალაქო საჰაერო მიმოსვლის მნიშვნელობა ს. ს. რ. კავშირისათვის

რუსეთის, საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სოფელი გერმანიის, საფრანგეთის, შვეიცარიის და სხვათა სოფლიდან განსხვავდება იმით, რომ ჩვენში არ არის სათანადოთ მოწყობილი გზები. სოფელი მოწყვეტილია ქალაქს დათხრილი, დაშლილი და ტალახში მცურავი გზებით. იმისათვის, რომ გატარებული იქნეს ცხოვრებაში 12 პარტიულ ყრილობის დადგენილება და დაწესებულ იქნეს საიმედო კავშირი სოფელთან, ჩვენ პირველ ყოვლისა უნდა დავამყაროთ ჩქარი და საიმედო დამოკიდებულება სხვა და სხვა ადგილებთან. სამოქალაქო ავიაცია ამ მიმართულებით მეტად დაუფასებელი საშუალებაა და ეს უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში და სათანადოთ შეფასებული მშრომელთა ფართო მასების მიერ. როგორც მუშების, ისე გლეხების სახით.

პეტროგრადის გზათა ინჟინერების ინსტიტუტის პროფ. ნ. ა. რინინის ცნობები ამტკიცებენ, რომ ხარჯები საჰაერო მიმოსვლის ხაზების მოსაწყობათ გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რკინის გზის მოწყობისათვის საჭირო ხარჯები და ამ უკანასკნელის მხოლოდ 2 პროც. შეადგენს. ჰაეროდრომათ შეიძლება იყოს დიდი სწორი ადგილი, რომლის გამონახვა ყოველ სოფელთან შეიძლება. საჰაერო მიმოსვლა [illegible] მიმოსვლის უპირატესობა ეკონომიის მხრივ, ისეთი აპარატების ხმარების დროს, რომელნიც მძიმე სათბობ მასალას ხმარობენ (მაზუთი) საკმაოდ დიდია და ბევრათ არ ჩამოუვარდება რკინის გზებს. საჰაერო მიმოსვლის დროს ძალიან მოკლდება გზა, რადგან ფრენა შეიძლება პირდაპირის გზით, მაღალი მთებისა და აღმართებისათვის შემოუვლელათ. ჰაეროპლანზე გაფრენის ღირებულება არ არის იმაზე ძვირი, რაც ჯდება მგზავრობა ჩვეულებრივი გზით ურემზე და ამასთანავე გაფრენის დროს არ არის ჯღრღევისა და დიდი დროის დაკარგვის უხერხულობა. იმ გზას, რომელსაც ურემი 4 საათის განმავლობაში გაივლის, მას 5 წუთში გადაიფრენს ჰაეროპლანი. ამიტომ ჩვენი უგზოობის პირობებში საჰაერო მიმოსვლის განვითარება მეტად სასურველია, განსაკუთრებით იქ, სადაც არ არის რკინის გზები. ჰაეროპლანი კულტურის საუკეთესო გამტარებელია, ის საშუალებას იძლევა ჩქარა იქნება გადაყვანილი [illegible] ლექტორები, ორატორები, ინჟინრები, აგრონომები და სხვა [illegible] სპეციალისტები, რომელთა ყოფნა სოფლად მეტათ სასურველია. ეს გარემოება საშუალებას იძლევა დაწესებულ იქნეს კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის არა მარტო ეკონომიურ სფეროში, არამედ კულტურისა და უშუალო დამოკიდებულების სფეროშიაც.

სამოქალაქო საჰაერო ავიაციის განვითარება მეტათ ხელსაყრელია ს. ს. რ. კავშირის მშრომელთათვის, რადგან ის ფართო პერსპექტივებს იძლევა, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში. საჰაერო მიმოსვლის მოწყობა უფრო იაფიცაა, ვიდრე რკინის გზით მიმოსვლა და უფრო ხელსაყრელია მომავალის იმედების მხრივაც, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ ჩქარა გავრცელებულ და განვითარებულ უმოტორო ფრენას, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო იაფათ ვიფრინოთ, ვიდრე რკინის გზით მოგზაურობა.

წითელი სამხედრო მფრინავი
ხ.

ფრენოსნობის განვითარება

ჩვენ ყველა დაკვირვებულ მკითხველს კარგათ აქვს შეგნებული და გათვალისწინებული ის დიადი მნიშვნელობა, რომელიც აქვს კაცობრიობისათვის ფრენოსნობის განვითარებას.

ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია ფართე მასსისათვის მოკლეთ აღვნიშნოთ დაწინაურება - მიღწევანი ავიაციის დარგში.

ტეხნიკური მხარე ჰაეროპლანის შემადგენლობის ძალიან ძნელი და რთულია, მისი მექანიზმის ზედმიწევნით ყოველმხრივი ცოდნა-შესწავლა ყველა არსებულ მანქანებზე უფრო რთული და ძნელია.

შედეგები ფრენოსნობის მიღწევა-გამარჯვებისა შეგვიძლია გამოვხატოთ რეკორდებით:

1) **სისწრაფე:** სიჩქარ-სისწრაფე თანამედროვე კონსტრუქციის ჰაეროპლანისა უდრის 400 კილომეტრს ერთ საათში (კილომეტრი დაახლოებით ერთი ვერსია).

მაგრამ თუ ამას მიუმატებთ მფრინავ რატოს მიერ გამოგონილ ტურბო—კომპრესორიან მოტორის ძალის გაღონიერებას ჰაერის უფრო მაღალ (6.000 მეტრის) სივრცეში, რომლის საშვალებით ფრენის სისწრაფე პროგრესიულათ იზრდება სიმაღლის აწევით 33 პროც. (მესამედი სისწრაფე ემატება), მაშინ ჩვენ მივიღებთ 400+ერთ მესამედი=513 კილომეტრს ერთ საათში, თუ ჰაეროპლანმა იფრინა არა უდაბლეს 5.000—6.000 მეტრისა ზღვის დონიდან.

პრაქტიკულ ცხოვრებაში რას ნიშნავს ეს აუარებელი მანძილი გადალახული ფრენით მხოლოთ ერთ საათში?

ეს ნიშნავს იმას, რომ ასეთი სწრაფი სისტემის საფრენი მანქანა რომ აფრინდეს ჩვენს დედა ქალაქ თბილისში, ქალ. ბათომამდე ის მოუნდება მხოლოთ ნახევარი საათს, ახლანდელი 13 საათის მაგივრათ რკინის გზის მატარებლით.

თბილისიდან მოსკოვამდე პირდაპირი მიმართულებით 1.500 ვერსია და მაშასადამე მოუნდებოდა მხოლოთ სამი საათი.

თბილისიდან პეტროგრადამდე მიფრინდებოდა ოთხ საათში.

ხოლო კი იმ აუარებელ სიშორეს, რომელიც თბილისიდან პარიზამდეა, გადალახავდა, გაუჩერებლივ რომ ეფრინა, ხუთ საათში, იქით-აქეთ დილიდან საღამომდი.

აქედან ცხადათ სჩანს, რომ ჰაეროპლანის სისწრაფის შედარება ყველა არსებულ სამიმოსვლო მანქანებთან შეუძლებელია.

2) **სიმაღლის რეკორდი:**

მიუხედავათ იმისა, რომ დიდი სიმაღლის მიღწევა ჰაერის სითხისა გამო ძალიან ძნელია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით ადამიანს სასუნთქავათ არ ჰყოფნის გათხელებული ჰაერი მჟავბადის ნაკლებობას გამო და აგრეთვე ამ უკანასკნელის მიზეზით აქამდე ძრავსაც (მოტორს) უძნელდებოდა სწორ-თანაბრათ მუშაობა,—მაინც ძლეულ იქნა ეს ბუნებრივი დაბრკოლებანი და ჰაეროპლანის საშუალებით უკვე მიღწეულია 13.500 მეტრის სიმაღლე.

მართალია ასეთ მიუდგომელ სიმაღლეზე აფრენას მაინც და მაინც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არა აქვსო, გვეტყვიან; საკმარისია უმაღლესი იალბუზის მთას (6.630 მეტრია) გადავცილდეთ და უფრო დაბალ კავკასიონის მთებს არ დავეჯახებით, მაგრამ დიდი სიმაღლის მიღწევას თავისებური დადებითი სპეციალური მხარეები აქვს.

ჯერ ერთი ის, რომ როგორც ზემოთ ვთქვით, რამდენათ მაღლა აფრინდება მანქანა, იმდენათ სისწრაფე ემატება, ჰაერის სითხისა გამო ნაკლებ ეღობება მას წინააღმდეგობა, რითაც უფრო უსრიალდება და სჭრის ჰაერს, მაგრამ დიდ სიმაღლეზე სიჩქარის გაძლიერება შესაძლოა მხოლოთ ზემოხსენებულ კომპრესორის ხმარებით, რაც ძნელი არ არის. მაშასადამე, დიდ სიმაღლეზე ფრენას ის დადებითი მხარე ჰქონია, რომ სისწრაფე ემატება, რაც დიდი ეკონომიას იძლევა შედარებით დაბლა ფრენასთან, ერთ და იმავე დროის განმავლობაში ნაკლებ ბენზინისა და ზეთის ხმარების.

ამას გარდა, მაღლა ფრენას ომიანობის დროსაც აქვს ის უპირატესობა, რომ ის არც კი სჩანს ძირიდან, რომ დაუმიზნონ ზენიტის ზარბაზნებიდან ყუმბარები, ამასთან დიდის სიმაღლისა გამო მის სისწრაფეს ვერც კი მოახვედრებენ ტყვიას.

3) **განუწყვეტელი ფრენა:**

უკვე მიღწეულია ჰაერში განუწყვეტლივ ფრენა 36 საათის განმავლობაში, თითქმის ორი დღე და ღამე, რაც იმედებს იძლევა ერთბაშათ უდიდესი მანძილის გადალახვისას. ეს საშუალებას იძლევა (ნაცვლათ მთელი თვეობით ღოღიალისა გამბედოვან და თავგანწირულ ყოფილ ექსპედიციებისა, ძაღლებისა და დათვების დახმარებით) ადვილად მიღწევა—დაბრუნებისას სამხრეთ ჩრდილოეთ მიუდგომელ პოლიუსებში, მისი მეცნიერულათ შესასწავლათ და გამოსაკვლევათ, რაც აქამდე ძალიან ძნელი იყო.

4) სწორეთ ასეთი ხანგრძლივი მოგზაურობის შესაძლებლობის დამამტკიცებელია ის, რომ გადაფრენა ამერიკიდან ევროპამდე ატლანტის ოკეანეთი ახლა უკვე ფაქტია. ეს აუარებელი მანძილი (3340 ვერსი) რომლის გადაცურვას შვიდი-რვა დღე-ღამე უნდებოდნენ ოკეანის თვით უძლიერესი ორთქლმავალ გემები, გადაფრენილ იქნა სულ რაღაცა რამოდენიმე საათის განმავლობაში გაუჩერებლივ და მოტორის დაუზიანებლივ.

5) **როგორც ტვირთმზიდავი:** [illegible] ჰაეროპლანს შეუძლია ასწიოს [illegible] მგზავრი, რაც თითქმის ნახევარია შვიდი—რვა ვაგონიდან შემდგარი, მგზავრებით გაჭედილ მატარებლისა ჩვენს რკინის გზებზე.

6) კონსტრუქტორების უდიდეს ამოცანას შეადგენდა აქამდის ისეთი მანქანის აშენება, რომელიც უნდა ყოფილიყო იმდენათ თვით თავისი წონით შემსუბუქებული, რომ რაც შეიძლება მეტი **სახარგებლო** ტვირთი აეწია თითო ცხენის ლონეზე გადარიცხულ ძრავის შემადგენლობის შედარებით, და ამ დარგშიაც ბრწყინვალეთ იქნა მიღწეული სრული გამარჯვება: ესე იგი, პირველ ხანებში თუ შესაძლებელი იყო თითო ცხენის ძალის დატვირთვა შვიდნახევარ კილოგრამით, ეხლა უკვე ჰაეროპლანები იტვირთებიან შედარებით ორჯერ მეტით, თხუთმეტ კილოგრამამდე; ეს იმას ნიშნავს, რომ ეხლანდელი ჰაეროპლანი მარტო სასპორტო-სასეირო მანქანა არ გახლავთ, არამედ ის უკვე გახდა პრაქტიკული, ცხოვრებისათვის გამოსადეგი საჭირო მანქანა.

მის საშუალებით ტვირთისა და მგზავრის გადაზიდვა არა უძვირესი ჯდება, ვიდრე ავტომობილებით და რკინის გზით, თუ მივიღებთ მხედველობაში და ანგარიშში მის შეუდარებელ სისწრაფეს.

7) თვით ძრავის აღმშენებლობაც დაწინაურდა თავისი საიმედო მუშაობით და შემსუბუქებულია იმდენათ, რომ თითო ცხენის ლონეზე იწონის სამ მეოთხედს კილოგრამისას (0.75კ.)

თვით ჰაეროპლანები შენდებიან მსუბუქი და მაგარი ლითონიდან, ნაცვლად უწინდელი ხისა და ტილოსი რომელთაც ადვილათ უჩნდებოდათ ცეცხლი ფრენის დროს.

აი, ყველა ზემოთ მოკლედ ჩამოთვლილი დაწინაურება-გამარჯვებანი საწინდარია იმისა, რომ ბრწყინვალე მომავალი ეკუთვნის **ფრენოსნობას.**

მფრინავი ბ. ქებურია.

ფრენოსანთა საზოგადოება

ტეხნიკის განვითარებამ კაცობრიობას მისცა საშუალება გამოეგონებინა რამდენიმეჯერ უფრო სწრაფი სამიმოსვლო მანქანა, ვიდრე რკინის გზის მატარებელი.

და ეს შეუდარებელი თავის სიჩქარით, სილამაზით, შთაბეჭდილებათა ცვლილებებით მოგზაურობის დროს და ერთბაშათ უდიდესი მანძილის გადამლახავი გაუჩერებლივ მიმოსვლის მანქანა გახლავთ საფრენი **ჰაეროპლანი.**

ეს დიდებული გამოგონება ეკუთნის უკანასკნელ საუკუნეს.

დადგა დრო, როცა მიმოსვლაში უპირატესობა ენიჭება შედარებით უკვე ჩამორჩენილ და დაძველებულ საშუალებებთან ისეთი დაწინაურებულს, როგორიც არის ჰაეროპლანი.

ჩვენც უნდა გაუწიოთ ანგარიში ამ მოვლენას. მით უფრო, თუ მივიღებთ მხედველობაში შესაფერი გზების უქონლობას საქართველოში. ჩვენში ძალიან დიდი დაბრკოლებებია მოგზაურობაში, არამც თუ მივარდნილ სოფლებ შუა, არამედ თვით მაზრიდან მაზრის ცენტრებ შორის არსებულ გზატკეცილების სრულიად უვარგისობისა გამო, თვით მშვენიერ დარშიაც კი, ხოლო წვიმიან-თოვლიან დღეებში საშინელი ტალახისა და წყალდიდობისა გამო.

ამ სტრიქონების დამწერმა იქონია რა მხედველობაში ზემოხსენებული მდგომარეობანი, მიზნათ დაისახა ფრენოსნობის განვითარება ჩვენში ჯერ კიდევ დიდი იმპერიალისტური ომის დამთავრებისათანავე, მაგრამ ძველმა მთავრობებმა დახმარება ვერ აღმოუჩინეს ამ საქმეს.

მხოლოდ ეხლა, საბჭოთა მთავრობის გამარჯვების ხანაში, ჩვენი დედაქალაქ თბილისში უკვე დაარსდა სამოქალაქო **ფრენოსანთა საზოგადოება,** ამიერ-კავკასიის მასშტაბით, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია მთავრობას მიერ.

საზოგადოებაში შედიან წევრად თითქმის ყველა სახელმწიფო ორგანოები რომელთა ხელთ არის 60 პროც. აქციისა, ხოლო დანარჩენი 40 პროც. აქცია არის გამოშვებული კერძო კაპიტალისათვის.

გამოშვებულია სულ ერთი მილიონის აქცია ოქროთი, ხოლო თითო აქცია ღირს ათი მანეთი ოქროთი, გამოშვებულია სულ 100.000 ცალი აქცია.

რა მიზანი აქვს ხსენებულ საზოგადოებას?

სამოქალაქო ფრენოსანთა საზოგადოების მიზანია: შექმნა საზღვარგარეთ საფრენი მანქანების (ჰაეროპლანების) მათი ყოველივე ნაწილებით და მოწყობილებით, რომლების საშუალებით უნდა მოეწყოს სამოქალაქო მიმოსვლა მგზავრთა და ფოსტის გადაზიდ-გადმოზიდვა, ამიერ-კავკასიის თითქმის ყველა ქალაქთა შორის, ხოლო საბოლოოთ განზრახულია კიდევ რამოდენიმე მიმართულების, მაგალითად თბილისიდან თავრიზისაკენ ბაქოს და ენზელს გავლით, აგრეთვე თბილის-ბათუმის ხაზი უნდა გაგრძელდეს სტამბოლით პრაგამდე და შემდეგ ბერლინამდე.

ჯერჯერობით კი გადაწყვეტილია ჰაეროპლანების შეძენისთანავე მოეწყოს მიმოსვლა თბილისიდან-ბაქომდე, თბილისიდან ბათუმამდე ქუთაისით, თბილისიდან კავკავამდე და სხვა.

ამ უკანასკნელი მიმართულების მნიშვნელობაზე, საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა შეჩერება.

ეს ხაზი თბილის-კავკავი უნდა გაგრძელდეს მოსკოვამდე და ამ შემთხვევაში მოსკოვსა და თბილის შორის მოკლდება მანძილი თითქმის ათასი ვერსით, რაც უდიდეს მეტოქეობას უწევს არსებულ რკინის გზას, რაც შეეხება თვით დროს შემოკლებას, ახლანდელი ხუთი დღე და ღამის მაგიერ შეიძლება დილიდან საღამოს ჩაფრინდე მოსკოვში. თბილისიდან ბათომამდე ცამეტი საათის სავალია რკინის გზის მატარებლით, ხოლო ჰაეროპლანით კი ერთი საათის.

ტეხნიკურათ დაწინაურებულ სახელმწიფოებში: ამერიკა-საფრანგეთ-ინგლის-გერმანიაში, ავიაცია უაღრესადაა განვითარებული. საჭიროა ჩვენშიც შესაფერი ყურადღება მიექცეს საავიაციო მშენებლობას, რაც დიდათ შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ აღორძინება-განვითარებას.

ბ. ქ.

საჰაერო ფლოტის კვირეული რუსეთში

წითელ ავიაციის გმირთა პატივსცემა

მოსკოვი. 2 აგვისტო. დღეს, ავიაციის დღესასწაულზე, გაიმართება საზეიმო სხდომა წითელი ავიაციის გმირთა პატივსაცემად.

მთავარსარდალმა, ამხ. კამენევმა, აღნიშნა თვალსაჩინო დახმარება, რომელიც აღმოუჩინეს „წითელ საჰაერო ფლოტს“: აპარატები „ულტიმატუმ“-ი უკვე შეკვეთილია. მეორე ესკადრილის მოსაწყობათ მუშაობას აწარმოებს საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება. ამ ესკადრილიაში შევა სხვა და სხვა ტიპის აპარატები, რიცხვით 40. საზოგადოებამ 10,000 ოქროს მანეთი გაიღო საჰაერო მოღვაწეთა წასაქეზებლად და დაღუპულ მფრინავთა ოჯახების დასახმარებლად.

ამხ. კრასნოშჩეკოვმა აღნიშნა, რომ საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებას მიზნად აქვს დასახული: ჰაეროდრომების აგება საკავშირო რესპუბლიკების მთელს ტერიტორიაზე, შექმნა საკუთარი საავიაციო წარმოებისა და მფრინავთა, მექანიკოსთა და ინჟინერთა კადრის შევსება. სხდომაზე გამოსულმა საჰაერო გმირებმა აღთქმა დასდეს, რომ ისინი მთელს სიცოცხლეს შესწირავენ საავიაციო საქმეს.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

თანაუგრძნობენ რუსეთს.

ბერლინი. 1 აგვისტო. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველმა ხაუშილმა აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელ საზოგადოებაში გააკეთა მოხსენება რუსეთში მოგზაურობის შესახებ. ხაუშილდის განცხადებას, რუსეთის მიერ ყოველ დარგში მიღწეულ წარმატების შესახებ, მთელი კრება გაცხოველებულ თანაგრძნობით შეხვდა.

დანია.

დანიის სავაჭრო დელეგაცია მოსკოვში.

კოპენჰაგენი. 1 აგვისტო. შაბათს გამოემგზავრება დანიის სავაჭრო დელეგაცია რუსეთში შოუს მეთაურობით.

„ჯერ ადრეა“

პარიზი. 2 აგვისტო. საფრანგეთის აკადემიკოს ბიუსონის წერილობით შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ მთავრობამ უარი უთხრა პასპორტების მიცემაზე რუსეთის წარმომადგენლებს, რომელთაც ჰსურდათ პარიზში გაემართათ რუსეთის ხელოვნების გამოფენა, საგარეო საქმეთა მინისტრმა უპასუხა: მართალია, მან უარი უთხრა პასპორტების მიცემაზე, რადგანაც ნაადრევად მიაჩნია პარიზში რუსეთის გამოფენის გამართვა.“

მოლაპარაკება ს. ს. რ. კ. და იაპონიის შორის.

ტოკიო. 1 აგვისტო. იოფესა და კავაკამას წინასწარი მოლაპარაკებით ვერ გადასწყდა სადავო საკითხები, კავაკავამ უარი სთქვა რუსეთის ნოტის რედაქციის მიღებაზე ნიკოლაევში მომხდარ ამბების გამო, რადგანაც მასში აღნიშნული იყო, რომ ნიკოლაევის ამბების ინტერვენციის დროს მოხდაო. დელეგატებმა მოლაპარაკება შესწყვიტეს და საკითხი გადასაწყვეტად მთავრობას, გადაეცა.

საკონტრიბუციო საკითხი

ბალდვინის სიტყვა თემთა პალატაში.

ლონდონი. 3 აგვისტო. კამათის დროს, თემთა პალატაში მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციის გამო, ბალდვინმა განაცხადა, რომ მისი აზრით რურის ოკუპაციამ გააჭიანურა გერმანიის მიერ კონტრიბუციის გადახდა და შეაფერხა ინგლისის და მთელი მსოფლიოს ვაჭრობა. უსამართლობა იქნებოდა გვეთქვა, რომ უმუშევრობა ინგლისში გამოწვეულია პირველყოვლისა რურის ოკუპაციით. მაგრამ სავსებით სწორია ის, რომ ოკუპაცია გავლენას ახდენს მსოფლიო ვაჭრობაზე და რამდენად დიდხანს გაგრძელდება იგი, მით უფრო ძლიერი იქნება მისი უარყოფითი გავლენა. ზოგიერთებმა განაცხადეს, რომ ოკუპაცია სასარგებლოა ინგლისის ვაჭრობისათვისო. ეს უეჭველი შეცდომაა. არავის არ შეუძლია იწინასწარმეტყველოს, როგორი უბედურება იქნება გერმანიის კრახი, რომელიც ზოგიერთებს კონტრიბუციის მიღების აუცილებელ პირობად მიაჩნიათ. ჩვენ კი ვიცით, რომ გერმანიის კრახი პირველ ყოვლისა გამოიწვევდა კონტრიბუციის უქონლობას. ჩვენ აგრეთვე ვიცით, რომ თუ გერმანიას კრახი მოუვიდა, დიდი დრო იქნებოდა საჭირო მისი ფინანსიური სისტემის აღსადგენად. თუ გერმანიამ კრახი განიცადა, იგი ვერ შესძლებს თავის ვალდებულებათა შესრულებას და მაშინ განმეორდება იგივე ამბები, რაც ხდება ამ უკანასკნელ 2 წლის განმავლობაში.

კერზონის სიტყვა ლორდთა პალატაში.

ლონდონი. 3 აგვისტო. მთავრობის დეკლარაციის გამო საკონტრიბუციო და რურის საკითხის შესახებ, ლორდთა პალატაში გამართულ კამათის დროს, კერზონმა სთქვა, რომ საკონტრიბუციო საკითხი ეხება ყველა მოკავშირეებს. ეს საკითხი არის საერთო ევროპის და საერთაშორისო საკითხი. სცემს რა პატივს თავის თავს, ინგლისს არ შეუძლია განზე გადგეს და საშუალება მისცეს საფრანგეთს და ბელგიას აწარმოვონ როგორი პოლიტიკაც მათ მოესურვებათ. აგრეთვე არ შეიძლება უყურადღებოთ იქნეს დატოვებული საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ. შემდეგ კერზონმა განაცხადა, რომ საკონტრიბუციო კომისიიდან ინგლისის წარმომადგენლის გამოძახება უაზრო ნაბიჯის გადადგმა იქნებოდა და უარყოფით შედეგებს მოიტანდა. რაც შეეხება ლორდ ბირკენხედის განცხადებას, რომ ინგლისმა უნდა გამოიწვიოს თავისი საოკუპაციო ჯარები, ვერსალის ხელშეკრულების ძალით, საოკუპაციო არმია არის ერთად ერთი გარანტია იმისა, რომ გერმანია შეასრულებს თავის ვალდებულებებს, და ამ ჯარების გამოწვევა იქნებოდა ინგლისის მიერ უარის თქმა თავის ვალდებულებებისაგან მთელი მსოფლიოს მიმართ.

საკონტრიბუციო საკითხის დოკუმენტების გამოქვეყნება.

ბერლინი. 3 აგვისტო. გაზ. „ტანი“ სასტიკად ილაშქრებს ლორდ კერზონის წინააღმდეგ იმ დოკუმენტების გამოქვეყნების განზრახვისათვის, რომელიც ინგლისმა და საფრანგეთმა გაუგზავნეს ერთმანეთს საკონტრიბუციო საკითხის გამო. გაზეთი აცხადებს, რომ კერზონი ანგრევს ყველაფერ იმას, რაც მოპოებული იყო გამარჯვებით ომის დროს. კერზონის პოლიტიკა განხეთქილებას იწვევს ანტანტაშიო. ლონდონში ეჭვობენ, რომ დოკუმენტები გამოქვეყნებული იქნება თემთა პალატის სესიის დაწყებამდე, როდესაც მთავრობა გამოაქვეყნებს დეკლარაციას საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

საფრანგეთის პასუხი.

პარიზი. 3 აგვისტო. საფრანგეთის მთავრობის საპასუხო ნოტაში, ინგლისის პროექტის გამო, ნათქვამია, რომ საფრანგეთი სიამოვნებით დაუჭერს მხარს ინგლისის მთავრობას და მზადაა გამოსთქვას თავისი თვალსაზრისი. საფრანგეთის მთავრობის აზრით, მთავარი საკითხია პასიურ წინააღმდეგობის საკითხი. უკანასკნელი არ იქნება ამოწურული მანამ, სანამ არ დაიწყება მოლაპარაკება გერმანიასთან. მაგრამ, რა წამს წინააღმდეგობა შეწყდება, ოკუპაციაც შესუსტებული იქნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

საფრანგეთის მთავრობის აზრით, გერმანიის ტერიტორიაზე მყოფ საფრანგეთის ჯარების ევაკუაცია შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გერმანია ნამდვილად გადაიხდის მის ხვედრ კონტრიბუციას. რაც შეეხება საერთაშორისო ექსპერტების ექსპერტიზას, საფრანგეთის მთავრობა იძლევა კითხვას, რა გარანტიები მიეცემა საფრანგეთს იმაში, რომ ექსპერტთა კონფერენცია იქნეს უფრო კომპეტენტური და სამართლიანი, ვიდრე საკონტრიბუციო კომისია, რომელიც მოქმედებს დადებულ ხელშეკრულების თანახმად. ფინანსიურ საკითხების საბოლოვო და საერთო მოწესრიგების გამო საფრანგეთი სთხოვს ინგლისის მთავრობას განუმარტოს ამ წინადადების დედა აზრი და აგრეთვე, შედის თუ არა „ფინანსიურ საკითხებში“ მოკავშირეთა ვალების საკითხიც.

ინგლისის მთავრობის დეკლარაცია საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

ლონდონი. 3 აგვისტო. ინგლისის პრესის ცნობით, მთავრობა გამოვიდა გუშინ ლორდთა და თემთა პალატაში ერთნაირი დეკლარაციით საკონტრიბუციო საკითხის და რურის კონფლიქტის შესახებ. დეკლარაციაში პირველ ყოვლისა აღნიშნულია ინგლისის ცდა მიიღოს საფრანგეთისა და ბელგიისაგან გადაჭრილი განცხადება საკონტრიბუციო საკითხში მათი პოზიციის შესახებ, რის შემდეგ საერთო პასუხი უნდა გაეგზავნოს გერმანიას 7 ივლისის წინადადებაზე. ჯერ კიდევ ინგლისის კაბინეტმა აცნობა მოკავშირეებს ამ საერთო პასუხის პროექტი თან დაურთო რა მას განმარტებითი ნოტა. ინგლისის პროექტში ნათქვამი იყო, რომ საკითხი გერმანიის გადახდის უნარიანობის შესახებ განხილული ყოფილიყო მიუდგომელ ექსპერტების მიერ საკონტრიბუციო კომისიასთან ერთად და რომ გერმანიის მთავრობას მისცემოდა წინადადება გაეუქმებია ყველა განკარგულებანი, რომელმაც „პასსიური წინააღმდეგობა“ გამოიწვია. ასეთი გაუქმება გამოიწვევს ოკუპაციის პირობების გადასინჯვას და დაისმება საკითხი რურის სამრეწველო ცხოვრების თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების შესახებ. ინგლისის პროექტთან დართულ ნოტაში აღნიშნულია, რომ მოკავშირეებმა დაუყოვნებლივ უნდა მოიწვიონ თათბირი საბოლოო შეთანხმების გეგმის შესამუშავებლად; საფრანგეთის და ბელგიის პასუხებში ინგლისის მთავრობამ ვერ ჰპოვა საფუძვლები იმისათვის, რათა შესაძლებელი იყოს გერმანიისათვის საერთო პასუხის გაგზავნა. აგრეთვე გამოირკვა, რომ საფრანგეთი და ბელგია წინააღმდეგი არიან ყოველგვარ გადაწყვეტილებისა რურში შექმნილ მდგომარეობის შეცვლის შესახებ, საითკენაც მიილტვის ინგლისის მთავრობა. შემდეგ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ წინასწარ აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზნით, საფრანგეთის და ბელგიის პასუხებში გათვალისწინებულ შეთანხმების გზების შესახებ, მრავალი კვირეები იქნებოდა საჭირო, ამავე დროს, საერთაშორისო მდგომარეობა, საკონტრიბუციო საკითხის გადაუჭრელობის გამო, ისეთია, რომ მოსალოდნელია გამოუსწორებელი კრახი. ინგლისის მთავრობა სთხოვდა თავის მოკავშირეებს მისცენ მას დოკუმენტების გამოქვეყნების საშუალება, რათა გამორკვეულ იქნას საერთო მდგომარეობა და იმ იმედით, რომ ეს გამოქვეყნება ხელს შეუწყობს საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით დაყენებას და დაარწმუნებს მთელ მსოფლიოს სწრაფ და გაერთიანებულ მოქმედების აუცილებლობაში საკონტრიბუციო საკითხის საბოლოო გადასაწყვეტად.

გერმანიის ამბები

შეთანხმებლები კუნოსთან.

პარიზი. 2 აგვისტო. სოციალ დემოკრატიის ბლადმა კუნოს გააცნო თავისი ფინანსიურ ეკონომიური პროგრამა. არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. როგორც იუწყებიან სოც. დემოკრატებმა მოითხოვეს რამდენიმე მინისტრის გამოცვლა

პარიზი. 2 აგვისტო. რეიხსტაგის და პრუსიის ლანდტაგის სოც.-დემოკრატიულმა ფრაქციებმა ერთად განიხილეს პარტიის პოზიციის საკითხი, შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობის დროს. კუნოს ფინანსიური პოლიტიკა სასტიკათ გააკრიტიკეს.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ **სოციალ-დემოკრატების მემარცხენე ფრთა, ვეიმარში მომხდარ კრების დროს, მოითხოვდა კუნოს გადადგომას.**

ბავარიის ლანდტაგში,

პარიზი. 2 აგვისტო. ბავარიის ლანდტაგში სოციალ-დემოკრატებმა ფინანსიურ რეფორმების კანონპროექტის წინააღმდეგ მისცეს ხმა.

მუშების შეტაკება ახალგაზდა ფაშისტებთან.

პარიზი 2 აგვისტო. ბერლინიდან მიღებულია ცნობა, რომ „ბისმარკის ახალგაზდათა“ კავშირის წევრებისა და მუშების შორის შეტაკება მოხდა. დაჭრილია ერთი, დაპატიმრებულია სამი.

გერმანელ მწერალ — კომუნისტის დაპატიმრება.

ბერლინი. 1 აგვისტო. ბავარიის პოლიციამ მიუნხენში დააპატიმრა ცნობილი მწერალი—კომუნისტი შულცი.

კუნო ეძებს დახმარებას.

ბერლინი. 1 აგვისტო. დღეს კუნო მიიღებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმის წევრებს, მათთან ერთად მთავრობის პროგრამის განსახილველად.

მთავრობის ზომების წინააღმდეგ.

ბერლინი. 1 აგვისტო. გაერთიანებულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმმა, მთავრობის ზომამიღებულებათა წინააღმდეგ, შეიმუშავა ეკონომიური პროგრამა. „ფორვერტს“ ი ირწმუნება, რომ მისი განხორციელება აუცილებლივ მიგვიყვანს დადებით შედეგებამდე.

ნახევრად მიღებული ზომები არ უშველიან.

ბერლინი. 1 აგვისტო. ბერლინის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა კუნოსთან საუბრის დროს ხაზი გაუსვეს ბერლინის მოსახლეობის სურსათ სანოვაგეზე მწვავე გაჭირვებას კუნომ აღნიშნა, რომ საფრანგეთის სპეკულიაციამ რურიდან გატაცებულ მილიარდებით დააჩქარა მარკის დაცემა და დაჭირდა ბერლინში სურსათ სანოვაგის საჩქაროდ მიწოდება. ამ მიზნით წვრილ ვაჭრობაში შემოღებულ იქნება უცხო ვალიუტა.

ჩიხში.

ბერლინი. 1 აგვისტო. გერმანიის პოლიტიკურ წრეების აზრით, საფრანგეთის და ბელგიის პასუხი ინგლისის ნოტაზე ოდნავადაც ვერ შესცვლის გერმანიის მდგომარეობას, სარეპარაციო საკითხის გადაჭრის იმედი თანდათან მცირდება. გერმანიის მთავრობა ცდილობს თავისი ძალებით მოაწესრიგოს საფინანსო საკითხი და გააუმჯობესოს ქვეყნის სასურსათო მდგომარეობა.

არა იმ ბოლიდან.

ბერლინი. 1 აგვისტო. რეიხსტაგის სასოფლო სამეურნეო კომისიამ მოწოდებით მიმართა გერმანიის მიწადმფლობელებს ქალაქის მოსახლეობისათვის სურსათ-სანოვაგის მოწოდების შესახებ. რეხსკანცლერთან და კუნოსთან თათბირის დროს მიწადმფლობელებმა აღნიშნეს, რომ ქალაქის მომარაგება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც შესწყდება ტრანსპორტისა და სასოფლო-მეურნეობის მუშათა გაფიცვა.

კუნოს გადადგომისათვის დრო არ დამდგარა.

ბერლინი. 1 აგვისტო. გერმანიის მემარჯვენე პრესა, მცირე მერყეობის შემდეგ, კვლავ იცავს კუნოს მთავრობას. ბურჟუაზიულ დემოკრატიულ პარტიის და აგრეთვე ცენტრის პარტიის ორგანოები, რომლებიც წინად ილაშქრებდენ კუნოს კაბინეტის წინააღმდეგ, ეხლა აღნიშნავენ, რომ მთავრობის კრიზისი არ არის დროული „ბერლინერ ტაგებლატი“-ც (დემოკრატიული პარტია) და „ფოსიშე ცეიტუნგი“-ც გამოდიან მთავრობის წინააღმდეგ. თვით შეიდემანის ორგანოც-კი „ცაიტ“-ი აცხადებს, რომ დიდი კოალიციის შექმნა ნაადრევიაო.

ერთად-ერთი ხსნაა მუშურ-გლეხური მთავრობა.

ბერლინი. 1 აგვისტო, „ფორვერტს“-ი სცდილობს დაამტკიცოს მუშათა მთავრობის შექმნის შეუძლებლობა, აღნიშნავს რა, რომ თუ მუშურ-გლეხური მთავრობა მოეწყო, ბურჟუაზია მონახავდა დახმარებას უცხო სახელმწიფოებში და სამოქალაქო ომიც აუცილებელი შეიქნებოდა. „ფორვერტსი“-ს განცხადება წარმოადგენს, როგორც სჩანს. პასუხს კომპარტიის მოწოდებაზე, რომელიც ასურათებს მუშებისათვის კოალიციის საშიშროებას, **და მოითხოვს მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომელიც გერმანიის ხალხის ხსნის ერთად-ერთი საშვალებაა.**

ბავარიის ლანდტაგში.

ბერლინი, 1 აგვისტო. ბავარიის მთავრობამ და აგრეთვე ბავარიის მემარჯვენე პარტიებმა ბავარიის ლანდტაგში შეიტანეს წინადადება ბავარიის რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შექმნის შესახებ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ წინადადებამ არ მიიღო ხმების საჭირო ორი მესამედი.

ოკუპაციის გარშემო

შიმშილობა.

ბერლინი. 2 აგვისტო. მთელ რურის ოლქში ძალიან სურსათ-სანოვაგის დიდი კრიზისია. დიდი ქარხნების მუშები და აგრეთვე მემაღაროები ვეღარ მუშაობენ ცუდი კვების გამო. საოკუპაციო ჯარებმა ბევრ ადგილებში ჩამოართვეს სურსათის მთელი მარაგი.

რეინლანდის სეპარატისტები გამცემლებია.

ბერლინი. 2 აგვისტო. „ეკო ნასიონალ“-ში ერთი ცნობილი ბელადთაგანი პუანკარეს ოპოზიციისა ტარდიე ეჭვს გამოსთქვამს, რომ რეინლანდის სეპარატისტული მოძრაობა ბუნებრივი ძალის ნაყოფი იყოს „ერნუფელ“-ი სეპარატისტების ბელადს დორტენს სამარცხვინო ბოძზე აკრავს და „სამშობლოს მოღალატედ“ იხსენიებს.

კიოლნში სტამბები გაჩერდა.

პარიზი. 2 აგვისტო. კიოლნში ყველა სტამბებმა მუშაობა შესწყვიტეს, რადგანაც ხელფასის საკითხი დღევანდლამდე არ გადაწყვეტილა.

სისხლისმღვრელი შეტაკება.

ბერლინი. 2 აგვისტო. ობერჰაუზენში სისხლის მღვრელი შეტაკება მოხდა პოლიციასა და გაფიცულ მაღაროს მუშებს შორის, რომელთაც უმუშევარი ახალგაზდობაც მიემხრო. პოლიციამ იარაღს მიჰმართა მოკლულია 2, დაჭრილია 8.

სინაის კონფერენცია

რუმინეთი და ანტანტა ხელს უშლის რუსეთთან დაახლოვებას.

ვენა. 1 აგვისტო. იხილავენ რა სინაის კონფერენციის დადგენილებებს, გაზეთები აღნიშნავენ, რომ დღიურ წესრიგიდან რუსეთის საკითხის მოხსნა არის რუმინეთთან ამ საკითხზე უთანხმოების ლოღიკური შედეგი. სამაგიეროდ, წინააღმდეგობა ჩეხო-სლოვაკეთისა და სამხრეთ სლავიის მხრივ მაჩვენებელია იმისა, რომ **ამ დასახელებულ სახელმწიფოთაგან ყოველი ცალ-ცალკე განაახლებს ურთიერთობას რუსეთთან.**

რუმინეთი, მცირე ანტანტაში პოლონეთის ჩათრევის უნაყოფო ცდის გამო, იძლევა წინადადებას, რათა დაიწყოს პოლონეთთან კერძო მოლაპარაკებანი მცირე ანტანტაში ერთად შესვლის შესახებ. სამხრეთ-სლავიის მთავრობას, ესწრაფვის რა რუსეთთან ურთიერთობის დამყარებისაკენ, ეჯახება წინააღმდეგობა ინგლისელებისა და თეთრგვარდიელების მხრივ.

მხარს უჭერენ ზავს ბულგარეთთან.

ვენა. 1 აგვისტო. სინაის კონფერენციამ გამოიტანა ბულგარეთის საკითხზე რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ არავითარი საფუძველი არ არის მცირე ანტანტას და ბულგარეთს შორის კეთილ მეზობლურ განწყობილების შეცვლისათვის, სანამ ცანკოვის მთავრობა ასრულებს თავის დაპირებებს. მიუხედავათ ასეთი რეზოლიუციისა, მაინც ეჭვობენ, რომ ცანკოვის მთავრობა მომავალშიც შეასრულებს თავის დაპირებებს,

თანხმობა აქაც არა აქვთ.

ვენა. 1 აგვისტო. მიუხედავათ ოფიციალური განცხადებისა, სინაის კონფერენციის მონაწილეთა სრული ერთსულოვნების შესახებ, ვენის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ რუსეთის საკითხის და პოლონეთის და საბერძნეთის მცირე ანტანტის შემადგენლობაში შესვლის საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა ამტკიცებს მცირე ანტანტაში არსებულ უთანხმოებას მნიშვნელოვან საკითხებში. ჩეხო-სლოვაკიის გარეშე საქმეთა მინისტრის ბენეშის განცხადებიდან სჩანს, რომ სრული ერთსულოვნება იყო მხოლოდ ჰუნგრეთის რეპარაციების საკითხში. კონფერენციის წრეებში დადის ხმები ბენეშის და ჰუნგრეთის პრემიერის ბეტლენის მომავალ შეხვედრის შესახებ. ჰუნგრეთის პოლიტიკურ წრეებში იტყობინებიან, რომ ჰუნგრეთი სიამოვნებით დასთანხმდება იტალიის ან ინგლისის კონტროლზე, მაგრამ მას მიუღებლად მიაჩნია მცირე ანტანტის კონტროლი.

სერიოზული განხეთქილება.

ბერლინი. 2 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფ“-ის ცნობით, სინაის კონფერენციაზე თავი იჩინა სერიოზულმა განხეთქილებამ სამხრეთ-სლავიასა და რუმინეთის შორის, ბულგარეთის საკითხის გამო. სამხრეთ-სლავიის მილიტარისტების წინააღმდეგ, რუმინეთის მთავრობა თანაგრძნობით ეკიდება ბულგარეთის დღევანდელ მთავრობას.

უნგრეთი და მცირე ანტანტა.

რომი. 2 აგვისტო. ვენის გაზეთები იუწყებიან, რომ უნგრეთის პრემიერს ბეთლენს განზრახვა აქვს შეხვდეს ჩეხო-სლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრს ბენეშს ვენაში ამ შეხვედრას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ. განხილული იქნება საკითხი უნგრეთის პოზიციის შესახებ მცირე ანტანტის სხვა სახელმწიფოთა მიმართ.

ჩინეთი

ახალი გართულება ჩინეთში.

ბერლინი. 2 აგვისტო. ჩინეთის ნალმოსანმა, გაფრთხილების ჩიუცემლად, სროლა აუტეხა ამონს ინგლისისა და იაპონიის ელჩებმა თავთავის მთავრობებს სამხედრო გემების გაგზავნა სთხოვეს.

სხვადასხვა ამბები

შეერთებული შტატები.

გარდინგის ავადმყოფობა.

ბერლინი. 2 აგვისტო. სან ფრანცისკოდან იუწყებიან რომ გარდინგის ჯანმრთელობა უმჯობესდება. სიკვდილის საფრთხემ გაიარა.

შეერთებული შტატები და გერმანია.

ბერლინი. 2 აგვისტო ვაშინგტონიდან იტყობინებიან: სახელმწიფო დეპარტამენტში დაადასტურეს, რომ გერმანიასთან დაწყებულია მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულობის დადების შესახებ, რომელიც დამყარებული იქნება „განსაკუთრებულ მზრუნველ ერის“ პრინციპებზე.

იტალია.

ფაშისტები და „მთავრობის მტრები“.

ბერლინი. 2 აგვისტო. ფაშისტების დიდმა ეროვნულმა საბჭომ რომში დადგენილება მიიღო რომელშიაც ნათქვამია, რომ ფაშისტების ძალა 500,000 შავხალათიანს აღწევს და სახალხო პარტია (პოპოლიარი) და სოციალისტები გამოცხადებულია მთავრობისა და ფაშიზმის მტრებად.

პოლონეთი.

საგარეო საქმეთა მინისტრის სეიდას გადადგომა.

ბერლინი. 2 აგვისტო. პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სეიდას მდგომარეობა შეირყა. ვარშავიდან მიღებულ ცნობებით. პრემიერი ვიტოსი დმოვსკის ეთათბირა, რათა მან იკისროს საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა.

იტალია.

ამხ. იორდანსკის ჩასვლა რომში.

პარიზი 2 აგვისტო. **საბჭოთა რესპუბლიკების ახალი წარმომადგენელი იტალიაში—იორდანსკი ჩავიდა რომში.**

კიდევ ერთი ფაშისტური გაზეთი.

პარიზი. 2 აგვისტო. ეგრეთ წოდებულ იტალიის „დემოკრატიის“ ორგანო „სეკოლო“ იცვლის თავის მიმართულებას და ფაშისტურ გაზეთად ხდება.

უნგრეთი.

პროტესტი მონარქიულ პროპაგანდის წინააღმდეგ.

რომი. 2 აგვისტო. [illegible], რომ ზოგიერთმა დეპუტატებმა პროტესტი განაცხადეს უნგრეთის პარლამენტში ჰაბსბურგების სასარგებლო პროპაგანდის წინააღმდეგ, უნგრეთის იუსტიციის მინისტრმა განაცხადა, რომ ის მიიღებს ზომებს მონარქიულ პროპაგანდის ასაკრძალავად.

შეერთებული შტატები.

სოლიდარობა ბალდვინთან.

ნიუ-იორკი. 1 აგვისტო. რუსეთიდან დაბრუნებულმა ირვინბუშმა, ლონდონის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს, განაცხადა, რომ საფრანგეთის პოლიტიკა რურში ძალიან შემცდარია და ამერიკა ვალდებულია მხარი დაუჭიროს ბალდვინის წინადადებას.

მექსიკა.

მექსიკანელ პრეზიდენტის განცხადება.

ნიუ იორკი. 1 აგვისტო. მექსიკიდან მიღებულ ცნობებით. პრეზიდენტ ობრეგონმა აცნობა ნიუ-იორკში მექსიკის ნავთის მრეწველთა კავშირის დირექტორს, რომ შუამდგომლობა, ნავთის მრეწველობაში მუშაობის შეჩერების შესახებ, არ იქნება დაკმაყოფილებული, ვინაიდან მექსიკის ხალხს აქვს სრული უფლება მექსიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებულ ნავთის დამუშავებისა და არ შეუძლია იცნოს რომელიმე საზოგადოებაზე პროტესტის განცხადების უფლება იმ საშვალებათა წინააღმდეგ, რომლებითაც ჰსურს მექსიკის მთავრობას ამ ტერიტორიის ექსპლოატაციისა.

ლატვია.

ბალტიის კონფერენციის დადგენილებათა დამტკიცება.

რიგა. 1 აგვისტო. მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა ბალტიის კონფერენციის ყველა დადგენილებები, მათ რიცხვში გადაწყვეტილებაც ბალტიის სახელმწიფოების საზღვრებიდან გასვლის გაადვილების შესახებ.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

საგაფიცვო ტალღა დუღს.

ბერლინი. 1 აგვისტო. ობერჰაუზენის ოლქში ხელ-ახლა ძლიერდება საგაფიცვო მოძრაობა. ქარხანა „კეთილი იმედი“-ს მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, მოითხოვდნენ რა სამუშაო ხელფასის მომატებას, და გადააყენეს საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი, რომელიც მუშათა ინტერესებს არ იცავდა საკმარისად ობერჰაუზენის მაღაროს მუშები მოითხოვენ ერთდროულ დახმარების სახით ნახევარ მილიარდ მარკის მიცემას. საქსონიის სანახშირო რაიონში გრძელდება მაღაროში მომუშავეთა გაფიცვა. ხემნიცში სტამბელებმა გამოაცხადეს გაფიცვა.

ყველგან კომუნისტებს ირჩევენ.

ბერლინი 2 აგვისტო. დამთავრდა მელითონეთა პროფკავშირების კასელის ყრილობაზე დელეგატების არჩევნები. **ყველგან ხმების დიდი უმრავლესობით გადიან კომუნისტები, მაგრამ ყრილობაზე უმრავლესობა ალბად სოციალდემოკრატების იქნება, რადგან დელეგატების რიცხვი განისაზღვრება არა მიცემული ხმების რაოდენობით, არამედ ორგანიზაციათა სიმრავლით...** ამავე დროს მთელ რიგ პატარა სამრეწველო ქალაქებში ხმების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს.

ერთიანი მუშათა ფრონტისათვის.

პარიზი. 1 აგვისტო. მელითონეთა **ნაციონალურმა კონგრესმა, რომელიც ემხრობა შრომის უნიტარულ კონფედერაციას, 113 ხმის უმრავლესობით, წინააღმდეგ 19-ისა, მოიწონა დადგენილება პროფინტერნში შესვლის შესახებ და გაგზავნა დელეგაცია მელითონეთა პროფკავშირში, რომელიც უჭერს მხარს ამსტერდამის გაერთიანებას და განმეორებითი წინადადება მისცა აღადგინოს მელითონე-მუშათა გაერთიანება.** შემთანხმებელ პროფკავშირის აღმასკომმა აღუთქვა წინადადების განხილვა.

გრძნობენ მუშათა ძლიერებას.

პარიზი. 1 აგვისტო. საფრანგეთის მრეწველთა კავშირი ძალიან შეშინებულია შრომის უნიტარულ კონფედერაციის კამპანიით, რომელიც მიმართულია ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დაარსებისაკენ. აღნიშნული კავშირი ფიქრობს, რომ **კონფედერაცია აძლიერებს ფაბრიკებში კომუნისტების გავლენას კავშირი სთვლის ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებს მომავალ საბჭოებათ, რომელნიც მოამზადებენ მრეწველების ექსპროპრიაციას.** კავშირი მოითხოვს ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებზე სასტიკ ზედამხედველობას, ვინაიდანო, აცხადებენ მრეწველები, წინააღმდეგ შემთხვევაში ფაბრიკებს დაიკავებენ მომავალში მუშებიო.

უცხოეთის ცხოვრება

პოლიტიკური ბრძოლა საფრანგეთში

ფროსსარის მეცადინეობით უნიტარულ კონფედერაციაში დაარსდა ფროსსარის მომხრე წმინდა სინდიკალისტებისა და ანარქისტების ბლოკი, ლოზუნგით „სინდიკალიზმი საფრთხეშია“. ამ ანარქო-სინდიკალისტების ბლოკმა საშინელი ბრძოლა ასტეხა რუსეთის რევოლიუციის მომხრეთა წინააღმდეგ. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცეკა შეუდგა პროფესიონალურ კომისიების მოწყობას. ანარქო სინდიკალისტებმა საშინელი ღრიანცელი ასტეხეს: „ეს პარტიის ჩარევაა პროფესიონალურ მოძრაობაში, ეს თავდასხმაა პროფკავშირების დამოუკიდებლობაზეო“. უკვე ორი თვეა, რაც ამ კომისიების საკითხი ავსებს ანარქო-სინდიკალისტების პრესას. დავიწყებულია ეროვნული ბლოკის გეგმა, რურის ოკუპაცია, საფრანგეთის ბიუროკრატიის ბატონობა, ეკონომიური ბრძოლის გამწვავება, გერმანელ პროლეტარიატის გაღატაკება და რევოლიუციისათვის მზადება ცენტრალურ ევროპაში.

ამ უსარგებლო განგაშმა შეარყია აგრეთვე ყოფილი უმრავლესობის მომხრენიც. უნიტარულ კონფედერაციის უმრავლესობამ მაინც აღიარა, რომ, კომუნისტურ პარტიას აქვს უფლება ყოველგვარ ორგანიზაციების მოწყობისა. ამ გადაწყვეტილებას უკმაყოფილოთ შეხვდა ბლოკი კონფედერაციის ეროვნულ საბჭოში. უმრავლესობამ, რომელსაც მოწმუსო და სემარი მეთაურობს, გაიმარჯვა 58 ხმით ანარქისტებისა, ანარქო-სინდიკალისტებისა და ფროსსარისტების 37 ხმის წინააღმდეგ. ეროვნული საბჭო იძულებული იყო დაენიშნა ეროვნულ კონგრესის მოწვევა კონფედერაციის მთელი პოლიტიკის განსახილველათ. საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფესიონალურ მოძრაობაში კვლავ კრიზისია. კომუნიზმმა გზა გადაუღობა ანარქისტებსა და რეფორმისტებს. ამ ვაჟბატონებს სურთ დამოუკიდებელნი იყვნენ რევოლიუციისა და კომუნიზმისაგან მათ შეუძლიანთ იყონ დამოუკიდებელნი, მაგრამ მუშათა კლასსი ვერ იქნება დამოუკიდებელი რევოლიუციისა და კომუნიზმისაგან. უახლოეს კონგრესზე ბლოკი დამარცხებას განიცდის.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ამხ. კარახანის გამგზავრება პეკინში.

მოსკოვი 2 აგვისტო. **ჩინეთის საგანგებო მისიის თავმჯდომარე ამხ. კარახანი დღეს მოსკოვიდან მიემგზავრება პეკინში.**

ძვირფასი ისტორიული აღმოჩენა.

პეტროგრადი. 2 აგვისტო. მთავარ ფიზიკურ ობსერვატორიის დათვალიერების დროს კედელში აღმოაჩინეს რამდენიმე რკინის ყუთი, რომლებშიაც აღმოჩნდა ძვირფასი ისტორიული დოკუმენტები ყოფილი სახალხო განათლების მინისტრ გოლოვინისა. მათ შორის მისი ნაწერები და მიწერ მოწერაც.

სარკინისგზო ფულის ვალდებულებანი.

მოსკოვი, 2 აგვისტო. მომავალ პურის კამპანიაში გზათა სახალხო კომისარიატის საშუალებათა გასაძლიერებლად, ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გამოუშო მოკლე-ვადიანი სარკინიგზო უპროცენტო ვალდებულებანი—სხვა და სხვა ღირებულების სერტიფიკატორები, საერთო ანგარიშით 5 მილ. ოქროს მანეთისა. სერტიფიკატები უზრუნველყოფილია რკინის გზის მთელი შემოსავლით და მიიღება სამგზავრო, საბარგო, სატვირთო გადაზიდვის ანგარიშის გასწორების დროს და სარკინისგზო ტრანსპორტის დანარჩენ სამსახურის ანგარიშში. 1 იანვრის შემდეგ სერტიფიკატები ნაღდი ფულით ანაზღაურდება.

წვრილი სავალდებულო ნიშნები.

მოსკოვი. 2 აგვისტო. რადგან ბაზარზე წარმატებით ტრიალებს სავალდებულო მსხვილი ნიშნები ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტროკასისა 5000, 2500 და 1000 ოქროს მანეთისა, ფინანსთა სახ. კომისარიატმა გადასწყვიტა გამოსცეს აგრეთვე წვრილი სავალდებულო ნიშნები 500 და 250 მანეთიანი.

თათართა რესპუბლიკა

არაჩვეულებრივი ნიაღვარი.

ტაშკენტი. 1 აგვისტო. ნამაგ მაზრაში არაჩვეულებრივმა სეტ და ნიაღვარმა გაანადგურა 2,200 სეტინაზე მეტი ჭირნახული. მათ რის 500 დესეტინა ბამბის პლან ცია. დაინგრა 650 სახლი, ბევრი გირიბიდა ხიდები. საკითხია აღ ლი, რათა დაზარალებულთ მი სათესლე ახლად დასათესად და ეცეთ აგრეთვე დახმარება დანგ ულ მეურნეობის აღსადგენად.

შემოწირულებანი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ

შორაპნის სამაზრო პარტიული კომიტეტი ულრმეს მადლობას უძღვნის შორაპნის მაზრის იმ მოქალაქეებს, რომელთაც გაიღეს თავიანთი წვლილი წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ.

ჭიათურის რაიონიდან:

ხუთ-ხუთი მილიონი გაიღეს შემდეგმა მოქალაქეებმა.

1. ბარათაშვილი ვ., 2. ფხალაძემ, 3. დარჩია შ., 4. ფურცხვანიძე მ., 5. კიკოზაშვილი შ., 6. ტაპატაძე ს., 7. ძინძიბაძე ზ, 8 ჭიათურის ქ. აფთიაქი, 9. შავერდოვის ს, 10. გაბელაძე ს., 11. შალამბერიძე გ., 12. ნადირაძე ი., 13. ბლუაშვილი ფ., 14. ჩიხელიძე ს., 15. წერეთელი ვ, 16. გოლუსტოვი ი., 17. ქებაძე პ., 18. გაკალოპულო ნ., 19. თაბაგარი ბ., 20 ბუხნიკაშვილი გ.,

ოთხ-ოთხი მილიონი:

1. კაპანაძე ბ. 2. ბუხნიკაშვილი ს. 3. ხოლიდი ა. 4. ძინძიბაძე ა

სამ-სამი მილიონი:

1. გაჩეჩილაძე მ. 2. ხვედელიძე კ. 3. მელიქოვი ბ. 4. მეხიტოვი კ 5. მარუფოვებიდან. 6. კარაფულიდი. 7. მაჭავარიანი ს.

8. დიდელია ე. 9 სამხარაძე ა. 10 გაჩეჩილაძე ვ. 11. მოდებაძე ვ. გაჩეჩილაძე ი. 13 გაჩეჩილაძე რ. 14 კუჭავა ვ. 15. ბუაძე მ. 16. ყაზილარიდი ი. 17. ბაქრაძე კ. 18. ქვანტურიძე ა. 19. ბალათურია ვ. 20 გვეტაძე რ. 21. ტყელიძე მ. 22. ბუაძე ს. 23. ლაბაძე ფ. 24. მარუფოვი

ორ-ორი მილიონი.

1. გვალია დ. 2. მელქაძე კ. 3. ბლუაშვილი ა. 4. ტაბატაძე ე. 5. ტუნდულიდი ი. 6. თაბაგარი ლ. 7. ჯიქიძე კ. 8. ბერიძე ხ. 9. ბუხნიკაშვილი ე. 10. გამყრელიძე გ, 11. სამხარაძე ვ. 12. კოჩიანი თ 13. აფანასიადი ნ, 14. ღამბაშიძე ვ. 15. მუმლაძე გ.

თითო მილიონი:

1. კვიციანაძე ს., 2. ბრეგვაძე ს. 3. აღოღლი, 4. ბუაძე ს., 5. იაკობაშვილი ვ, 6. მელაძე გ., 7. სამყურაშვილი, 8. უფლისაშვილი მ, 9. გეწაძე ვ., 10. გაფრინდაშვილი, 11. ბარძაკაძე ნ., 12. კიკნაველიძე ა., 13. კუჭავა ნ., 14. გაფრინდაშვილი ა., 15. გულავა ს., 16. კუჭავა რ., 17. ვადაჭკორია ფ., 18. შავლაყაძე რ., 19. ბიწაძე ა., 20 ასათიანი ი., 21 მიქიაშვილი ქ., 22 კიკოზაშვილი ი., 23 ტერპეტრესკი ს, 23. სირბილაძე რ., 25. ტყემელაძე ს., 26. ნაცვლიშვილი ნ., 27. რევიშვილი რ., 28. ჯლამაძე ვ. სულ 246 000,000 მ

ხარაგოულის რაიონიდან ოთხ-ოთხი მილიონი გაიღეს.

1. ხარაგოულის მთლიანი მომხმარებელი საზოგადოება, 2. ბერიძე პლატონ, 3. დეკანოსიძე ა.

სამ-სამი მილიონი.

1. მანჯავაძე ა., 2. თხელიძე ს 3. მესხიშვილი ნ, 4. კვინიკაძე თ, 5. პოპიაშვილი ი. 3,500,000.

დანარჩენი შემოწირულებანი.

1. ფოფხაძე ვ. 2 მილ., 2. დეკანოსიძე ი. 800,000 მ., 3. ბუაჩიძე მ. 2 200,000 მ, 4. მაჩაიძე ტ. 2,500,000 მ., 5. დევდარიანი მ. 2,200,000 მ., 6. კიკნაძე ბ. 2,200,000 მ., 7. ლონდაძე გ. 1,800,000 მ., 8. ჭიპაშვილი ბ. 2,200,000 მ, 9. კიკნაძე დ. 1 მილ., 10 შერგილაშვილი ი. 2 მილ., 11. ანდრიადი ე. 2 მილ., 12. მაჭავარიანი შ. 2 მილ., 13. ჯიმშიაშვილი ი. 2 მილ., 14. ბიბილეიშვილი ა. 1,500,000 მ., 15 ჭიპაშვილი ბ. 1,800,000 მ., 16. ხარაბაძე დ. 2,500,000 მ., 17. გიორგაძე ი. 1,500,000 მ., 18. ხარაძე ვ. 2,500,000 მ., 19. ციცქიშვილი პ. 700,000 მ., 20. შერგელაშვილი მ. 1,500,000 მ., 21. ბრეგვაძე პ. 2 მილ., 22. ჩიკვაიძე ა. 2 მილ., 23. შავიძე პ. 2.000.000 მ. 24. კიკნაძე გ. 1.500.000 მ. 25. ლიპარტია ი. 1.500.000 მ. 26. ლიპარტია ვ. 2.500.000 მ. 27. თაბუკაშვილი გ. 1.500.000 მ 28. ლომსაძე ლ. 2.000.000 მ. 29. პაქიალაძე მ. 1.500.000 მ. 30. ხარაძე გ. 1.500.000 მ. 31. შარიქაძე შ. 2.000.000 მ. 32. შარიქაძე ვ. 1.500 000 მ. 33. ხარაძე ვ. 1.800.000 მ. 34. ხარაძე ვ. 1.200.000 მ. 35. ლომსაძე თ. 1.800.000 მ. 36. ბუაჩიძე რ. 2.000.000 მ. 37. ხარაძე ლ. 1.500.000 მ. 38. ინწკირველი კ. 2.000.000 მ. 39. კაკულია ნ. 2.000.000 მ. 40. ბუხნიკაშვილი მ. 1 500.000 მ. 41. ჯაბუა მ. 1.500.000 მ. 42. ქოხელიძე ვ. 2.000.000 მ. 43. ხარაძე გ. 2.000.000 მ. 44. ლურსმანაშვილი ა. 2.000 000 მ. 45. მაღრაძე ს. 2.000.000 მ. 46. ბერიძე ს. 2.500.000 მ. 47. პერანიძე მ. 2.000.000 მ. 48. დევდარიანი ს. 1.500.000 მ. 49. სიბისკვერაძე დ. 2.000.000 მ. 50. კიპიაშვილი ი. 3 500.000 მ. 51. შურამელი მ. 2.000.000 მ. 52. თაბუკაშვილი კ 1.000.000 მ. 53. ზარნაძე ა. 2.000.000 მ. 54. ხარატაშვილი ლ. 1.500 000 მ. 55. გაბუნია 1.500.000 მ. 56. კამკამიძე 2.000.000 მ. 57. შველიძე 1.500 000 მ. 58. ხარაძე ნ. 1.500 000 მ. 59. ებანოიძე მ. 2.000 000 მ. 60 ბიბილეიშვილი ე. 1.500.000 მ

სულ ორივე რაიონში შეკრებილია 482.700.000 მანეთი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

გერმანიის ექსპონატები გამოფენაზე.

პეტროგრადი. 2 აგვისტო. გერმანიიდან გემ „შლეზვიგ“-ით მოვიდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ექსპონატები, მათ შორის ჯიშიანი ოთხფეხი საქონელი.

მოსკოვი. 1 აგვისტო. გუშინ გამოფენაზე მოვიდა 27 ვაგონი ექსპონატები. გზაში არის 93 ვაგონი. ადგილებიდან ექსპონატების გზავნა 8 აგვისტოს დასრულდება.

კურორტების მთავარ სამმართველოს ექსპონატები.

მოსკოვი. 1 აგვისტო. კურორტების მთავარი სამმართველო გამოფენაზე კინემატოგრაფიული ლენტით უჩვენებს საკურორტო საქმის მთელს მდგომარეობას.

სპარსეთის ექსპონატები.

მოსკოვი. 1 აგვისტო. რუსე სრულუფლებიანი წარმომადგენ თეირანის გამოფენაზე ამზადებს სეთის პავილიონს. გამოფენილი ნება სასოფლო მეურნეობის მანქანები, იარაღები, ელექტრონული რატები, მძიმე და მსუბუქი ინდ ტრია და სხ.

სხვა ევროპიელები ამ გამოფ მონაწილეობას არა ღებულობენ.

იაპონიის ექსპონატები საკავში გამოფენაზე.

ვლადივოსტოკი. 1 აგვისტო პონიიდან მოვიდა ექსპონატები ლიად საკავშირო გამოფენისათვის

„ჩიხში“

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი. 3 აგვისტო. „იზვესტია“ მეთაურში „ჩიხში“ სწერს: „გერმანია ღრმა ეკონომიურსა და სოციალურ რყევას განიცდის. იმედები საკონტრიბუციო საკითხის გადაწყვეტაზე არ არის. მეურნეობა მძიმე კრიზისს განიცდის. ქვეყანაში არ არის საკმაო ფულის ნიშნები. მოსახლეობა თავის მომარაგებულ თანხებს უკანვე თხოულობს. სიძვირე საშინელი სიჩქარით იზრდება, გაჭირვება და შიმშილი ახრჩობს მუშათა კლასს და წვრილ ბურჟუაზიას. ქვეყანა მშიერთა გაფიცვებმა მოიცო. სამეურნეო არევდარევამ არაჩვეულებრივი სპეკულიაცია გამოიწვია.

შინაური და პოლიტიკური მდგომარეობაც აგრეთვე უიმედოა. ფაშიზმი თანდათან მაგრდება. ბავარიის ფაშისტებს უნდათ ბავარიის გამოყოფა, რაც ნიშანი იქნება საერთო ფაშისტურ მონარქიულ გამოსვლისათვის. კუნოს მთავრობა ნიადაგს რგავს: ერთის მხრივ ხელს მრისხანე [illegible] ნებებს, მუშები ბევას და დახვრეტას ამზადებ ორენი [illegible] ნიადაგო [illegible] რებებს მუშებს.

მხოლოდ კომუნისტური აფასებს ფხიზლად მდგომარ ანტი-ფაშისტური დღე წყ ტარდა. მუშათა დემონს გრანდიოზული იყო, მაგრამ ტარიატი არ წავიდა ფაშის პროვოკაციაზე. პროლეტარიატ ლა, მაგრამ მტკიცეთ ემ ბრძოლისათვის ფაშიზმის წ მდეგ კომუნისტური პარტიის ლენა იზრდება და ფართო სოციალ-დემოკრატები ჰკარგავ ვლენას. პროლეტარული მასებ ყებენ ლოზუნგ „მთლიანი პრო რული ფრონტი“-ს მნიშვნე გაგებას.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

მოსავლის პირი.

ბათომი. 31 ივლისი, აჭარის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ცნობებით ხულოს მაზრის მთა-ადგილებში სიმინდის მოსავალს საშუალოზე უკეთესს მოელიან. უკანასკნელმა წვიმიანმა კვირეებმა გამოაცოცხლა ხულოს მაზრის ქვედა ნაწილის პირნახული. ასევეა კოდორის მაზრაშიაც, სადაც წინედ დიდი გვალვები იყო. რათქმა უნდა გვალვისაგან სრულებით გადამწვარი ნათესობა მთლად დაიღუპა, მაგრამ ნაკლებ გადატუსული პირნახული კი გამობრუნდა, აქ სიმინდის მოსავალი შუათანაზე ნაკლები იქნება.

მეფუტკრეობა.

ბათომი. 31 ივლისი. აჭარაში მეფუტკრეობა პირველ-ყოფილ მდგომარეობაშია. მისი რაციონალურ დონეზე გადაყვანის საქმე დაიწყო და ცოტა წარმატება ეტყობა. აგრონომიული მეთვალყურენი რეგულიარულად ჩამოუვლიან და დაჰხედავენ ხოლმე საფუტკრეებს. ხულოს მაზრაში თითქმის ყოველგან აღმოაჩინეს ფუტკრის მატლი, რომელიც ანადგურებს გლეხების მეფუტკრეობას პირველ-ყოფილ გეჯებით. ამის წინააღმდეგ ზომებია მიღებული. მეფუტკრეობის განვითარებას ძალიან აფერხებს ხელსაწყოს უქონლობა. გლეხები ისვეწებიან თუნდაც ფულად მივაწეროთ მათ საბოლებელი, ბადეები, დანები და სხვა. მიწათმოქმედების კომისარიატს განზრახვა აქვს შექმნას სამრეწველო საფუტკრეები.

ბათომის ნავთსადგურში.

ბათომი, 1 აგვისტო. ბათომიდან სტამბოლისაკენ გავიდა გემი „ლიუს“-ი 2500 ფუთი ნავთით, გერმანიის გემი „ობერშლეიზენ“-ი, 2,523 ტონი ნავთით და ჰოლანდიის გემი „ვილდერინ“-ი 4500 ტონი სამანქანო ზეთით.

აზერბეიჯანი

ბაქოს ვაჭრობა-მრეწველობა.

ბაქო. 2 აგვისტო. საფინანსო ინსპექტორების მასალების მიხედვით ბაქოს ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ უმეტესი ნაწილი წარმოებისა მოთავსებულია ქალაქის შუა ნაწილში. წარმოებისა დიდი ნაწილი მე-3 და მე-4 ხარისხის სამრეწველო მოწმობებს იღებს, ან სხვაგვარად რომ ვსთქვათ, უმეტესი მათგანი არის საწვრილმანო დუქნები. ბითუმად მოვაჭრე მაღაზიების რიცხვი შედარებით, ძალიან მცირეა. მრეწველობაშიაც იმავე მოვლენას ვამჩნევთ: ცოტად თუ ბევრად მსხვილი სამრეწველო ძალიან ცოტაა. დიდი უმრავლესობა კი წვრილ სამრეწველოებს წარმოადგენს, შინამრეწველობის და ხელოსნობის დარგისას. ცხადია, რომ ვაჭრობა-მრეწველობა ჯერ განვითარების საფეხურზე იმყოფება და ჯერ ვერ მიუღწევია მას მსხვილ კონცენტრაციულ მრეწველობამდე და მასიურ წარმოებამდე. სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა რაოდენობითი ზრდა იმის მაჩვენებელია, რომ ეკონომიური პირობები ხელს უწყობენ ახალ საწარმოვოთა წარმოშობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ის რაოდენობითი ზრდა ემჩნევა შინამრეწველობისა და ხელოსანთა წარმოებას ვაჭრობაში კი ასეთი ზრდა ყველა ხარისხის სავაჭროებს ემჩნევათ.

ნავთის ფრონტზე.

ბაქო. 2 აგვისტო. ივლისის 26 და 28-ს ბაქოს ყველა სამრეწველოებში ამოღებულია 1,775,000 ფუთი ნავთი. საქაჩავში მიშვებულია 1,190,000 ფუთი. საქაჩავიდან დაბრუნებულია 1,180,000 ფუთი. დაწმენდილია 225,000 ფუთი. ბურღვაში იყო 161 დაზგა. ჩაბურღულია 197 საჟენი.

აზერბეიჯანის სახ. სასურსათო კომისარიატი.

ბაქო. 2 აგვისტო ამიერ-კავკასიის სასურსათო სახალხო კომისარიატის სამმართველოს დაერქვა აზერბეიჯანის სასურსათო სახალხო კომისარიატი.

ნიჟნი-ნოვგოროდში იგზავნება.

ბაქო. 2 აგვისტო. ნიჟნი ნოვგოროდის ბაზრობაზე საქონლის გზავნა წარმატებით მიდის. სრულიად რუსეთის ტყავის სინდიკატს გაგზავნილი აქვს 700 ფუთი სხვადასხვა ტყავეული, სრულიად კავკასიის სამხედრო კოოპერატივს—1,000 ვედრო ღვინო; კერძო ფირმებს, მათ შორის სპარსელ ვაჭრებს ბაქოს საბაჟოს საშუალებით და აგრეთვე რკინის გზით გაუგზავნიათ 20,000 ფუთი სხვადასხვანაირი საქონელი.

სომხეთი

მიწათ მოწყობა.

ერევანი. 2 აგვისტო. მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის კომისიამ ზოგიერთი ცვლილებებით დამატებით დაამტკიცა ახტისა და გუმბრის მაზრის მე-7 რაიონის მიწათ მოწყობის პროექტები. შეუდგნენ ზანგეზურის მაზრის სარწყავის საქმის მოწესრიგებას, სადაც მიემგზავრება მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის სადგილ მამულო განყოფილების უფროსი.

ხორბლისა და ქერის ფასები.

ერევანი. 2 აგვისტო. ადგილობრივი კარგი ხორბალი ფასობს ფუთი 2—2,5 მილიონი მან. ყუბანისა — 1, 750,000. ქერი—1,250, 000 მ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ერევანი. 2 აგვისტო- სომხეთის ყველა მაზრებში უკვე დასრულდა წინასწარი მუშაობა ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ასაკრეფად. გადასახადის აკრეფა დაიწყება 5 აგვისტოს. ერევნის მაზრაში უკვე 4 დღეა, რაც გადასახადის აკრეფა დაიწყო. საქმე წარმატებით მიდის.

სოფლების სახელწოდების გამოცვლა.

ეჩმიაძინი. 2 აგვისტო. ეჩმიაძინის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით მაზრის სოფლების უმეტეს ნაწილს სახელები გამოეცვლებათ. მხედველობაში მიიღება ისტორიული მნიშვნელობა, ადგილ-მდებარეობა, ბუნებრივი თვისებანი და სხ.

პირდაპირი მავთულით.

ერევანი. 2 აგვისტო. ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის წყალობით ამ ჟამად ერევნიდან შესაძლებელი არის პირდაპირი გალაპარაკება საბჭოთა ფედერაციის ყველა ცენტრებთან.

პარტიული ცხოვრება

ახალგაზრდათა კომკავშირის ტფილისის საქალაქო და სამაზრო კონფერენცია

1 აგვისტოს პროფკავშირების საბჭოს დიდ დარბაზში გაიხსნა თბილისის საქალაქო და სამაზრო ახალგაზრდათა კომკავშირის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 110 დელეგატი, მათ შორის 20 გლეხი და 70 მუშა.

კონფერენციის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1. ს. ს. რ. კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, 2. კომუნისტური ახალგაზრდობის სრულიად რუსეთის კონფერენცია, 3. თბილისის აღმასკომის პოლიტგანათლების განყოფილების ანგარიში, 4. ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის თბილისის კომიტეტის ანგარიში, 5 თბილისის კომიტეტის არჩევნები.

კონფერენციის პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ ამხ. რუბენი, მეტონიძე, ზეინალ-ზადე და ლომიძე.

ამის შემდეგ ამხ. შ ელიავა აკეთებს მოხსენებას ს ს. რ. კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

მე-2 ლეგიონი.

ბიურო-კოლექტივის მუშაობა მე-2 ლეგიონში დამაკმაყოფილებელია. სხდომები ხდებოდა სისტემატიურათ.

ბიუროს აქვს კავშირი ბათომის პარტიულ კომიტეტთან, მაგრამ საჭიროა კავშირი უფრო მჭიდრო იყოს. ბიურო ხელმძღვანელობს ათასეულების კომუჯრედებს, აწვდის წინასწარ მასალას მორიგ კრებებზე განსახილველად.

ბიუროს ჩაუტარებია „დეზერტირის“ კვირეული და უწევს სათანადო ხელმძღვანელობას დამხმარე კასასს, სადაც ამ ჟამად ირიცხება 102 წევრი.

ხდება პარტიაში შესვლის მსურველთა რეგისტრაცია. წარსულ ბიუროს ჰქონია სხდომა, სადაც განხილულია 19 საორგანიზაციო ხასიათის საკითხი.

საერთო პარტიული კრება მოუხდენია 2.

კომუჯრედები.

არსებობს ათასეულის სამი კომუჯრედი, რომლებსაც ყავს თავისი პრეზიდიუმი და მდივანი. ხდება ღია კრებები, სადაც ესწრებიან უპარტიო ამხანაგებიც. ყველა კომუჯრედის წევრს აქვს პირადი ბარათი, სადაც ინიშნება მისი საქმიანობა და კრებაზე დასწრება არსებობს მჭიდრო კავშირი სამოქალაქო უჯრედებთან როგორც: სანაპირო არტელის № 2 კომუჯრედთან ისე სანაპირო არტელის ცენტრალურ კომუჯრედთან და რკინის გზის ტვირთ მზიდავთა კომუჯრედთან. კომუჯრედების მუშაობა მიმდინარეობს სისტემატიურად სისტემატიურად იმართება პარტიული დღე ორშაბათობით.

პოლიტ საათი.

სისტემატიურად მიმდინარეობს პოლიტ-საათი ახალი მეთოდით. პოლიტ ხელებში ხდება მასალის წინასწარი განხილვა, რის შემდეგ გადააქვთ თავიანთ ასეულებში.

ნ.

შემოქმედის თემი (გურია)

1923 წლის 14 ივლის, შესდგა შემოქმედის თემის ყველა პარტ. უჯრედების და კომკავშირის გაერთიანებული კრება. კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. კ. მახარაძე. დღის წესრიგში: 1. მოხსენება მეთორმეტე ყრილობის შედეგებზე. 2. ქალთა შორის მუშაობის შესახებ და მიმდინარე საკითხებში. მეთორმეტე პარტ-ყრილობის შედეგების შესახებ, მოხსენებას აკეთებს ამხ. კ მახარაძე.

მომხსენებელმა პირველ ყოვლისა აღნიშნა პარტიის მდგომარეობა ყრილობის დროს და აგრეთვე მის წინა პერიოდში.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა იმ საკითხებზედ, რომლებიც იდგა ყრილობის დღის წესრიგში. საერთაშორისო მდგომარეობის შეფასების დროს ამბობს მომხსენებელი, ყრილობა ვრცლად შეეხო, ქალაქისა და სოფლის ე. ი. მუშებისა და გლეხებს შორის მტკიცე და საქმიან ურთიერთობის განმტკიცებას, ამ ორ ძალთა შორის კავშირის სიმტკიცე და მათ მდგომარეობაზე დამოკიდებულია საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება. და ყრილობამაც თავის მუშაობას საფუძვლად დაუდო ქალაქის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის აღდგენა, მისი განვითარებისათვის ხელის შეწყობა და ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის (СМЫЧКА) განმტკიცებას.

სასოფლო მეურნეობა საერთაშორისო და სამოქალაქო ომის დროს სავსებით დაეცა, სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, საბჭოთა მთავრობა მთელი თავისი ძალღონით შეეცადა თავი დაეღწია ასეთი მდგომარეობიდან; „რაზვიორსტკა“ სასურსათო გადასახადით იქნა შეცვლილი, მაგრამ ამისდამიუხედავად მეთორმეტე ყრილობამ გაუკეთა რა სრული შეფასება, სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას და მის პერსპექტივებს, აუცილებლად სცნო, გადასახადის ახალი ფორმა გამოენახა. და აი სწორედ გამომდინარე იმ შეხედულებებიდან რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ ე. ი. მუშებსა და გლეხებს შორის მტკიცე კავშირის შექმნის მიზნით ყრილობამ შემოიღო ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, როგორც ყრილობაზედ გამოირკვა წინანდელ გადასახადის ფორმას, ბევრი დეფექტები და დღევანდელ პირობებში მიუღებელი მხარეები ახასიათებდა, რაც ხელს უშლიდა მეურნეობის განვითარებას. მომხსენებელი გადადის წარმოების მდგომარეობაზედ საბჭოთა რესპუბლიკებში და აღნიშნავს რომ ქალაქის წარმოება ვითარდება შედარებით ნელი მაგრამ მტკიცე ტემპით. სამაგიეროდ სასოფლო მეურნეობის განვითარება მიდის მეტის სისწრაფით. ერთი მხრივ ეს გარემოება და მეორეს მხრით სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების (უმთავრესად პურისა და სიმინდის) ექსპორტის სისუსტე ქმნის იმ უწონასწორობას, რომელიც არსებობს მუშებისა და გლეხების ნაწარმოებთა ღირებულების შორის. მომხსენებელმა განუმარტა კრებას სხვა საკითხებიც რომლებიც ირჩეოდა მეთორმეტე პარტ ყრილობაზედ მეთორმეტე ყრილობამ სთქვა მომხსენებელმა გამოიჩინა არაჩვეულებრივი ერთსულოვნება, სადაც არ ყოფილა აჩრდილიც კი, რაიმე არსებითი წინააღმდეგობისა და უთანხმოებისა, და ეს კი თავდებია კომუნისტური პარტიის, ერთიანობის, სიმტკიცისა და საბოლოო გამარჯვების. ამის შემდეგ კრებამ იმსჯელა ქალთა შორის მუშაობის აღსადგენად და აირჩია თვითეულ უჯრედიდან თითო ამხანაგი ქალთა წრეების მოსაწყობად დ მეცადინეობის სახელმძღვანელოთ თავიანთ სოფლებში. კრებამ გაარჩია სხვა მრავალი ადგილობრივი ხასიათის ორგანიზაციული საკითხები და დაიშალა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი თბილისში.
(3 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	20.000
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ. —	1875
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	19,000
ჩეკები —	16,700
დოლარი ეფექტ. — —	3,900
ჩეკები —	3,575
ოსმალ. ქალ. ლირა ეფექტ.	2800
ჩეკები —	2,425
ფრანგული ფრანკი —	210
საბჭოთა ფულის ნიშ.	18

მუშკოპის ფასები.
(3 აგვისტო).

პური გირ.—60 ათასი. ყუბანის ფქვილი გირ. 1 ხარ.—120 ათ., ნატეხი შაქარი—900 ათ., ფხვნილი შაქარი 680 ხორც. გ. ძროხის—425 თუშური ყველი—540, ჰოლანდიური ყველი 600 ათ., კარაქი—1.400 ათ., საპონი „ტოლლე“ 500 ათ., ხანის ბრინჯი—280., კართოფილი—40 ათ., წითელი ლობიო—25. მწვანე ლობიო—80 ათ., კომბოსტო—60 ათ. ბადრიჯანი—30 ც.

ტფილისის ბაზრის ფასები.
(2 აგვისტო)

პური 1 ხარ.—170-180, პური 2 ხარ.—90-100, ფქვილი—150 და მეტი, ნატეხი შაქარი—1 მილ., ფხვნილი შაქარი—800 ძროხის ხორცი—400-550, ერბო—1 მილ. კარაქი—1 მილ., 1.200 ათ., ზეთი—500, მარმარილოს საპონი—500. საპონი „ტოლე“—600 აგდაშის ბრინჯი—250. წითელი ლობიო—40—50, კარტოფილი - 40, პამიდორი—80, ქარხალი—50, კომბოსტო—60, ბადრიჯანი—25-40 ც. კვერცხი 10 ც.—550.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.
(3 აგვისტო).

მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ბემის ფანჯრის მინები. ბოთლები 0,05 და 0,04. კაუსტიური სოდა რუსეთის. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ. ს. საფეიქრო—საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ. ცემენტი ნოვორ. სახურავის რკინეულობა. ქაღალდის ცენტრალურ ტრესტის ქაღალდი და კარტონები. საღებავები.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.
(3 აგვისტო).

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. სალამასი. ცემენტი პორტლანდის. შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ინგლისური შაბიამანი. ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვა მარილი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“. ადგილობრივი და ყუბანის ხორბალი. კარტონები. კალა. კანიფოლი. ქერი. მზესუმზირას ზეთი.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.
(3 აგვისტო)

ხორბლისა და პურის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება მტკიცეა, იწევს ცხიმების ფასები. შაქრის ბაზარზე განწყობილება გაცხოველებულია. დანარჩენ ბაზარზე უცვლელია.

თბილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.
(2 აგვისტო)

ხორბლისა და პურის პროდუქტების ბაზარზე განწყობილება გამოურკვეველია: ფასები აწეულია რუსეთის მზესუმზირას ზეთზე. შაქრის ბაზარზე ნაკლები სიმტკიცეა. დანარჩენ ბაზრებზე მდგომარეობა უცვლელია.

სასოფლო მეურნეობა

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში

მევენახეობა—მეღვინეობის ქვეგანყოფილება.
(ივნისის თვის ანგარიში).

ივნისის თვის განმავლობაში მევენახეობა-მეღვინეობის ქვეგანყოფილება აწარმოებდა შემდეგ მუშაობას:

ქვეგანყოფილების გამგის მიერ დათვალიერებულია ჩუმლაყის, კონდოლის და იყალთოს სანერგეები.

სანერგეებში ჩატარებულია შემდეგი სამუშაო: იყალთოს სანერგეში ეწამლა ვენახებს გოგირდით მეორეთ და მესამეთ, ეწამლა აგრეთვე 1,5 პროცენტიანი შაბიამანით მე-2 ჯერ.

სეტყვის წინააღმდეგ გაშვებულია შუშხუნები პირველად 22 ივნისს. შუშხუნების მოქმედება დამაკმაყოფილებელი იყო მეორეჯერ ცენტრალ. პუნქტიდან 27 ივნისს სეტყვის წინააღმდეგ გაშვებული იყო 6 შუშხუნა, მეორე პუნქტიდან—3 ც. და რუის პირიდან—2. სეტყვის ღრუბლებს თან მოჰყვა საშინელი ქარიშხალი, რომელმაც შუშხუნების სრულას ხელი შეუშალა. სეტყვამ შესამჩნევი ზარალი მოიტანა. სეტყვისაგან დაზარალებული სივრცე უდრის 6 ვერსს სიგანით დ 7—8 ვერსს სიგრძით. დაზარალდენ შემდეგი სოფლები: ოჟიო, იყალთო, რუისპირი, ნაკლებად დაზარალდენ ზემოხოდაშენი და აწყური. სეტყვის ღრუბლებმა გადაიარა ჩრდილოეთ-დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ. ხილის ბაღს ეწამლა 1,5 პროცენტიანი შაბიამანით, პარიზის ფხვნილის დამატებით 9—10 რიც ხვეში. ხილის მოსავალი სრულებით არაა, რადგან ხეხილი ყვავილობის დროს დაზარალა რთვილმა.

შემუშავებულია 3 დესეტ ახალი ამერიკული ვაზის სადედე, აგრეთვე გაფურჩქვნილია 2 დესეტ. ძველი ამერიკული ვაზის სადედე.

დამუშავებულია ნამყენების სკოლის სანერგე და ნაწამლია როგორც გოგირდით, ისე შაბიამანით.

საანგარიშო თვეში მუშაობდა სანერგეში 321 მუშა. სამუშაო დღე იყო—25, უამინდო—5. დღიური მუშები თავიანთ ხარჯზე მუშაობდენ: კაცები—300 ათასს, 500 ათასს და 1 მილიონ მანეთად დღეში, ქალები—200 ათასს, 300 ათასს, 350 ათასს და 400 ათასს მანეთად დღეში; სანერგეში მუშაობდა 3 ცხენი.

სანერგის ვენახები დაზარალებულა სეტყვისგან. ნამყენების სკოლა და ამერიკული ვაზის სადედე დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ჩუმლაყის სანერგეში ჩატარებულია მიმდინარე სასეზონო სამუშაო. ივნისის განმავლობაში სანერგეში იმუშავა 302 დღიურმა მუშამ. მუშები თავიანთ ხარჯზე მუშაობდენ: კაცები—1—1 ნახ. მილიონ მანეთად. ქალები და მცირე წლოვანები 300—500 ათასს მანეთად დღეში. მუშაობდენ გოგირდზედაც: კაცები 8—12 გირვ. გოგირდზე, ქალები და მცირე წლოვანები—4—6 გირ. გოგირდზე. სანერგეში მუშაობდა 2 ცხენი.

ივნისის პირველ ნახევარში ვენახმა დაასრულა ყვავილობა. ყვავილობის დროს მოუსწრო ქარიშხალმა და დიდმა წვიმამ, რამაც მტევნები შეათხელა. საერთო მდგომარეობა სანერგისა დამაკმაყოფილებელია. ნამყენი ვაზისთვის ამინდი მეტად ხელის შემწყობია; იმედია, ვაზის დიდი პროცენტი იხარებს. 28 ივნისს მოვიდა სეტყვა, ზარალი მცირეა და აღწევს 150 ვედრომდე დანაკლისს.

კონდოლის სანერგეში ჩატარებულია აგრეთვე მიმდინარე სასეზონო მუშაობა. სანერგეში გაშვებულა სეტყვის წინააღმდეგ შუშხუნები პირველად 17 ივნისს. დანიშნულია 3 პუნქტი. სეტყვის ღრუბელი უმეტესს შემთხვევაში მოდის ცივ-გომბორის მთიდან. შედეგი შუშხუნებით სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლისა დამაკმაყოფილებელია: სახალხო მამულები გადარჩა სეტყვას 95 პროც. მაშინ, როდესაც ზემოკი ხევის ვენახების 50 პროც. დაისეტყვა.

საცდელ საქმეთა ქვე განყოფილება.
(ივნისის თვის ანგარიში).

დაწესებულებათა მოქმედება გამოიხატება შემდეგში: ტფილისის ბოტანიკურ ბაღში სწარმოებდა მიმდინარე მუშაობა. მეცნიერული მუშაობა მიმდინარეობდა თესლთა საკონტროლო სელექციის, ბოტანიკურ, ფიზიოლოგიის, ფიტოპატოლოგიის, მეველეობის და სხვ. კაბინეტებში, რაც გამოიხატა საქართველოს ზოგიერთ მნიშვნელოვან ველების გამოკვლევაში, ჰერბარიუმისა და კოლექციების შეგროვებაში და სხვ

ტფილისის საბრეშუმო სადგურში სწარმოებდა მიმდინარე სამეურნეო—სამეცნიერო მუშაობა მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის დარგში: აბრეშუმის პარკის დამუშავება, ლაბორატორიული დაკვირვებანი და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო ქიმიურ ლაბორატორიაში გაკეთებულია კახეთის ნიადაგის 7 ნიმუშის მექანიკური ანალიზი, დაიწყო წყლის ტეობის გამორკვევა კახეთის ნიადაგის 16 ნიმუშში, დაწყებულია საქართველოს ნიადაგების რუქების შედგენა, დამთავრდა სამეგრელოდან ჩამოტანილ მთის ჯიშების სამი ნიმუშის ანალიზი, სწარმოებდა რაჭის მთის ჯიშების და მინერალურ წყლების ანალიზი, სწარმოებდა პურეულობის ანალიზი.

ბათომის ბოტანიკურ ბაღში სწარმოებდა როგორც მეცნიერული, ისე სამკურნალო მუშაობა, გადიდებულია ბაღის კულტურულ მცენარეთა ჰერბარიუმი ახალი მასალით, შეგროვებულია კულტურულ მცენარეთა თესლეულობის კოლექცია, დამზადებულია შეკვეთილი ექსპონატები მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისთვის, შეკეთებულია ზოგიერთი დაზიანებული შენობები და სხვა.

ქუთაისის საბრეშუმო სადგურში სწარმოებდა აბრეშუმის პარკის მიღება და გადამუშავება.

სხვა მამულებში და საცდელ დაწესებულებებში სწარმოებდა სასეზონო მუშაობა.

ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართო კონფერენცია

კონფერენციის გახსნა და პრეზიდიუმის არჩევნები.

1923 წ. 29 ივლისს გაიხსნა ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართო კონფერენცია, 159 არჩეულ დელეგატიდან დაესწრო 140 დელეგატი და 13 კანდიდატი, მათგან 42 კომუნისტი, 10 ახალგაზრდათა კომკავშირის წევრი და 101 უპარტიო.

კონფერენციას ხსნის ავჭალის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მ. გურგენიძე პირველ სიტყვას იღებს საქართველოს კომპარტიის ავჭალის რაიონულ კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. სარქისოვი, რომელიც წინადადებას იძლევა არჩეულ იქნეს კონფერენციის პრეზიდიუმი და სამდივნო. ერთხმად არჩეულ იქნენ: პრეზიდიუმში ამხ. ამხ. ნ. სარქისოვი, ა. ლანგე, ი. გოგიჯანაშვილი, ა. მათიაშვილი, მ. გურგენიძე, ბ. ნებიერიძე, ვ. მესხი, ი. ვაშაკიძე და პ. შიშინაშვილი, სამდივნოში ამხ. ამხ. ნ. ჯაბიაშვილი და დ წერეთაშვილი. წინადადება შემოდის არჩეულ იქნენ საპატიო თავმჯდომარეებათ ამხ. ამხ. მიხა ცხაკაია და ვანო სტურუა—წინადადება ერთხმად იქნა მიღებული. მიღებულ იქნა აგრეთვე წინადადება გაეგზავნოს საქართველოს კომპარტიის ცეკას, ამიერ-კავკასიის ცაკს, საქ. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს და თბილისის აღმასკომს შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართო კონფერენცია ყველა მუშებისა და გლეხების სახელით გიგზავნით თქვენ, მშრომელი მასების წარმომადგენლებს, მხურვალე სალამს და დარწმუნებული მთელი გლეხობის შეგნებაში და მუშებისა და გლეხების სოლიდარობაში სურვილს გამოსთქვამს, რომ საბოლოოთ გაემარჯვებიოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს დასავლეთის იმპერიალიზმზე. გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალურ რევოლიუციას. გაუმარჯოს გლეხების და მუშების კავშირს. გაუმარჯოს საბჭოების ხელისუფლებას. გაუმარჯოს 3 ინტერნაციონალს და წითელ პროფინტერნს“. ამის შემდეგ დელეგატები მღერიან „ინტერნაციონალს“. კონფერენციის თავმჯდომარე ამხ. სარქისოვი აცხადებს შემდეგ დღის წესრიგს: 1. საერთაშორისო მდგომარეობა. 2. თბილისის ქალაქის აღმასკომის მოღვაწეობა. 3. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. 4. სადგილ-მამულო რეფორმა. 5. ეროვნული საკითხი. 6. მოხსენებები ადგილებიდან. 7. მიმდინარე საქმეები. აღნიშნულ დღის წესრიგს კონფერენცია ერთხმად და შეუცვლელათ იღებს. კონფერენციის რეგლამენტში შეტანილ იქნა დროის შემდეგი განსაზღვრა: მომხსენებლებს ეძლევათ 40 წუთი, მთარგმნელებს 20 წუთი, მომხსენებებს ადგილებიდან 15 წუთი და პირად განცხადებებს ხუთ-ხუთი წუთი. კონფერენციის თავმჯდომარე საქართველოს კომპარტიის ავჭალის ქვე რაიკომის სახელით ესალმება კონფერენციას და უსურვებს მას საქმიან და ნაყოფიერ მუშაობას ავჭალის რაიონის მუშებისა და გლეხების სასარგებლოთ.

მოხსენება და რეზოლიუცია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

პირველ საკითხზე „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ მოხსენებით გამოდის ვ. ქავთარაძე, ამხ. მომხსენებელმა თავის ვრცელ მოხსენებაში დაასურათა მშრომელი მასების მდგომარეობა მეფის რეჟიმის დროს და პოლიტიკურ ორგანიზაციების აქტიურობა მუშებისა და გლეხების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეში და სოციალურ რევოლიუციისადმი მისწრაფებაში, უმთავრესად პარალელი გაატარა ბოლშევიკურ და სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციების მოღვაწეობის შორის. 1914 წლის დასაწყისში, კაპიტალისტური ომის უაღრეს განვითარების პერიოდში, სადაც მუშებმა და გლეხებმა ათეული მილიონი თავისი საუკეთესო შვილები და ახალგაზრდა ძალები დაჰკარგეს, და შეეხო პერიოდს თებერვლის რევოლიუციიდან ოქტომბრის დიდებულ კომუნისტურ რევოლიუციამდე, რუსეთის მშრომელი მასების პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და შემდეგ გადავიდა საბჭოთა რესპუბლიკების ორგანიზაციაზე, მათ მოღვაწეობაზე და ბრძოლაში გამარჯვებაზე შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ, სამხედრო, პოლიტიკურ, სამეურნეო-ეკონომიურ და დიპლომატიურ ფრონტებზე.

ამხ. ქავთარაძის მოხსენების გამო „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“ კონფერენციის მიერ ერთხმად გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ, ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა ფართო კონფერენციის დელეგატებმა, მოვისმინეთ რა ამხ. ქავთარაძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, წყევლა-კრულვას უგზავნით ცრუ სოციალისტურ პარტიებს, რომელთა მიზანი და ამოცანები მიმართულია მშრომელთა კლასის ინტერესების წინააღმდეგ, როგორც მაგალითად: მშრომელი ხალხის შოვინისტური სულით მოწამვლა, სახელმწიფო აპარატის მუშათა კლასის მტრებსა და ექსპლოატატორების ხელში გადაცემა. ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენცია შრომის პატიოსან სიტყვას იძლევა მთელი ქვეყნის მშრომელთა კლასის და მისი ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიის წინაშე, რომ ჩვენ, ჩვენი რაიონის მუშებისა და გლეხების წარმომადგენლები, ჩვენის მკერდით დავიცავთ საერთაშორისო პროლეტარიატსა, მუშებისა და გლეხების ინტერესებს, იმპერიალისტურ და კაპიტალისტურ მტაცებლების წინააღმდეგ. საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში 2 ნახ. წლის არსებობის განმავლობაში ჩვენ საქმეზე და პრაქტიკაზე სავსებით დავრწმუნდით, რომ მუშებისა და გლეხების ინტერესების ერთად ერთი დამცველი საერთაშორისო მასშტაბით არის მხოლოდ და მხოლოდ კომუნისტური პარტია, რომელიც გმირულ ბრძოლას აწარმოებს კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ მუშებისა და გლეხების გამარჯვებისათვის. გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების საერთაშორისო სოლიდარობას. გაუმარჯოს შრომის ერთიან ფრონტს ფაშიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ. გაუმარჯოს კომპარტიას და სოციალურ რევოლიუციის შტაბს III კომინტერნს“.

თბილისის აღმასკომის მუშაობა.

მეორე საკითხის შესახებ სიტყვა ეძლევა ამხ. ვ. მესხს. ამხ. მესხი მოხსენებას აკეთებს თბილისის ქალაქის აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ; თავის სიტყვას ამხ. მესხი იწყებს საამშენებლო განყოფილების მუშაობიდან, ის აღნიშნავს ჰიდრო ელექტრონის სადგურის აშენებას და აცნობს კონფერენციას ფულის რესურსებს, რომელნიც საჭიროა მის ასაშენებლათ, წყალსადენის გასაუმჯობესებლათ, ტრამვაისათვის, აბანოებისათვის, სასაკლაოებისათვის, თავისუფლების მოედნიდან ფუნიკულიორამდის და სასაკლაოებამდის ტრამვაის ხაზების გაყვანისა და ელექტროფიკაციისათვის, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება განაპირა უბნების რაიონების მუშების დაახლოვებისათვის ცენტრთან; მომხსენებელი აღნიშნავს აგრეთვე სანიტარულ და საამშენებლო მდგომარეობის გაუმჯობესებას, როგორც განაპირა უბნებში, ისე ქალაქის რაიონებშიც, სკოლების შენობების აშენებას, რემონტს და ხიდების და გზების შეკეთებას.

შემდეგ ამხ. მესხი ამბობს, რომ ფინანსიური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება, უმთავრესად, თბილისის საბჭოს მესამედ მოწვევის შემდეგ; თბილისის სამაზრო აღმასკომის შეერთებამ დიდი დახმარება გაუწია თბილისის აღმასკომს, როგორც ფინანსიურ, ისე პოლიტიკურ და ეკონომიური მხრივ

ამხ. მესხის მოხსენების გამო კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხ. მესხის მოხსენება თბილისის ქალაქის აღმასკომის მოღვაწეობის შესახებ, ჩვენ ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენციის დელეგატები თბილისის აღმასკომის მუშაობას სავსებით დამაკმაყოფილებლად ვსთვლით და მივესალმებით აღმასკომის ყველა წევრებს, რომელნიც შეგნებულათ მუშაობენ სახელმწიფო აღმშენებლობის გაუმჯობესებისათვის და უსურვებთ თბილისის აღმასკომს, კიდევ უფრო ენერგიულ მუშაობას სასოფლო სამეურნეო მდგომარეობის აღსადგენათ პარტიულ ორგანიზაციების დახმარებით, რომელნიც შეგნებულათ ხელმძღვანელობენ საბჭოთა ორგანიზაციებს.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ვარლამ მესხი. ის აცნობს კონფერენციას იმ მეურნეობებს, რომელზედაც ვრცელდება ეს გადასახადი და რა წესით შეიძლება გადასახადის გაწერა და მოჰყავს სხვა და სხვა მაგალითები ამ სფეროდან: როგორც მესაქონლეობა, მიწად-მოქმედება, მეღვინეობა და სხვა. ამხ. მესხის მოხსენებამ დელეგატი გლეხები ძლიერ დააინტერესა და ისინი შეკითხვებს აძლევდენ მომხსენებელს, რაზედაც დაწვრილებითი და ნათელ პასუხს ღებულობდენ მომხსენებლისაგან და კმაყოფილნი დარჩნენ.

ამის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა ამხ. მესხის მოხსენება მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ, ჩვენ ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენციის დელეგატები ვთვლით ამ გადასახადს სავსებით მიზანშეწონილათ და მხურვალეთ მივესალმებით რ. კ. პ. მე-12 ყრილობას, რომელიც თავის დადგენილებით სწორად მიუდგა სასოფლო-სამეურნეო აპარატის გაუმჯობესების საკითხს, საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელ გლეხების ინტერესების დაცვის საქმეში. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, რომელიც მუშათა და გლეხთა ხელისუფლების ხელმძღვანელია. გაუმარჯოს ყველა შეგნებულ მშრომელ მასებს, რომელიც შეგნებულათ შეხვდებიან მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადს, რომელიც საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიურ მდგომარეობის აღდგენისაკენ არის მიმართული.

აგრარული რეფორმის შესახებ.

აგრარული რეფორმის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს ს. ს. რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარმა ვანო სტურუამ, რომელმაც თავის მოხსენებაში დაწვრილებით გაარკვია აგრარული საკითხის მდგომარეობა მეფის რეჟიმის დროს. ვინ იყო იმ დროს მიწის პატრონი და ექსპლოატატორი. შემდეგ ამხ. სტურუა შეეხო აგრარული რეფორმის გატარებას დემოკრატიული წესწყობილების დროს, ე. ი. კერენსკისა და მენშევიკების დროს საქართველოში და სთქვა, რომ ამ უკანასკნელებს თავისი ცრუ სადგილ-მამულო რეფორმით უნდოდათ მიემხროთ გლეხები მარტო სიტყვით კი არა, არამედ საქმითაც. ჩვენ გლეხებთან ერთად რეფორმის გატარების დროს ვერ ვხედავდით იმ კითხვებს, რომლებზედაც მენშევიკები ესე ხმამაღლა ყვიროდენ, მიუხედავათ იმისა, რომ მათ პროგრამაში იყო მუხლი აგრარული რეფორმის შესახებ და ნორმა განსაზღვრული იყო შვიდი დესეტინით, მაგრამ ნათლიმამობის წყალობით ბევრს ასი დესეტინობით უტოვებდენ. ეს ამტკიცებს რომ ბატონ მენშევიკებს ეცოდებოდათ ბატონი მემამულეები და თავადები და მათთან ერთად მიდიოდენ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მშრომელ გლეხობის დასაჩაგრავად, მაგრამ დიდი ოქტომბრის რევოლიუციისა და დიქტატურის პროლეტარიატის ხელში გადაცემის წყალობით კომპარტიის აქტიურ ხელმძღვანელობით, გლეხობა დაკმაყოფილებული იყო გატარებული სადგილ-მამულო რეფორმით, როგორც რ. ს. ფ. ს. რ. ისე საქართველოს ს. ს. რ. და, საერთოდ, ყველა სოციალისტურ რესპუბლიკებში.

ამხ. მომხსენებელი შემდეგ ამბობს, რომ ჩვენ გვაქვს ჩვენს განკარგულებაში მიწის მცირე რაოდენობა და ამ მიწას თუ კულტურულათ არ იქნა ის დამუშავებული არ შეუძლია დააკმაყოფილოს გლეხების მოთხოვნილება, მაგრამ თუ ჩვენ კულტურულად დავამუშავებთ მიწებს, მაშინ ის არა თუ საკმარისი იქნება, არამედ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ის ზედმეტიც გვექნება, როგორც ეს შვეიცარიაშია, სადაც მიწის მცირე რაოდენობაზე დიდი მოსავალი მოდის; მომხსენებელს აუარებელი ფაქტები მოჰყავს კარგი მოსავალის შესახებ იმ ქვეყნებში, სადაც მიწას კულტურულად ამუშავებენ.

მოხსენებამ აგრარულ რეფორმის შესახებ ძალიან დააინტერესა დელეგატი—გლეხები და მათში გაცხოველებული და ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. მათ შეკითხვები მისცეს მომხსენებელს, რომლებზედაც ამხ. სტურუამ საბოლოო სიტყვაში დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ამხ. სტურუას მოხსენების გამო „აგრარულ რეფორმის შესახებ“ კონფერენციამ ერთხმად შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „მოვისმინეთ რა საქართველოს ს. ს. რ. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის ამხ. სტურუას მოხსენება აგრარულ რეფორმის შესახებ, ჩვენ ავჭალის რაიონის უპარტიო მუშათა და გლეხთა კონფერენციის დელეგატები მივესალმებით სწორ და გადაჭრილ ნაბიჯების გადადგმას სადგილ-მამულო რეფორმის გატარებისათვის საქარ. ს. ს. რესპუბლიკებში, რომელნიც ამ ჟამად უკვე გატარებული არიან ცხოვრებაში. მშრომელი გლეხობა წინეთ დაჩაგრული იყო მემამულეებისა და თავადების მიერ, როგორც მეფის რეჟიმის დროს, ისე ბურჟუაზიულ ევროპის ლაქიების-მენშევიკურ მთავრობის დროს, მენშევიკურ უღელისაგან განთავისუფლების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ თავის აგრარული რეფორმით დააკმაყოფილა მთელი გლეხობა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ახლო მომავალში განთავისუფლებული იქნება გლეხობა მთელს ქვეყნიერებაზე და ყველგან კომპარტიის ხელმძღვანელობით გატარებული იქნება აგრარული რეფორმა. გაუმარჯოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირს მთელს ქვეყანაზე.

გაუმარჯოს საერთაშორისო სოციალურ რევოლიუციას.

ამის შემდეგ გაკეთებული იქნა მოხსენება ეროვნულ საკითხზე და მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

ქრონიკა

შრომის კომისარიატში.

— **ორშაბათი, 6 აგვისტო უქმე დღეა.** შრომის კომისარიატის დადგენილებით—ორშაბათი, 6 აგვისტო (ფერისცვალება) უქმე დღეა. ამავე კომისარიატის დადგენილებით ყველა საეკლესიო უქმეები ძველი კალენდარიდან გადატანილია ახალ სტილზე.

— **შრომის ინსპექციის გაუქმება.** შრომის სახ. კომისარიატმა დაადგინა გაუქმებულ იქნას სამტრედიის რაიონში შრომის ინსპექცია, ხოლო შრომის ინსპექტორის თანამდებობის აღსრულება დაეკისრა ადგილობრივ დამზღ. კასის რწმუნებულს, ქუთაისის გან. დაქვემდებარებით.

მიწად-მოქმედების კომისარიატში.

— **მიწის რეფორმის დასრულება.** საქ. მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატმა უკვე დაამთავრა მთელ რესპუბლიკაში მიწის რეფორმა, რომლის ცხოვრებაში გატარება ხდებოდა დამკვრელი ხასიათით.

ქალაქის აღმასკომში

— **საბჭოს წევრების ექსკურსია.** ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის ასაშენებელ მუშაობის ახლო გასაცნობათ ამ დღეებში ეწყობა სპეციალური ექსკურსია ქალაქის საბჭოს წევრებისაგან.

— **საცდელი მინდვრები.** აღმასკომის მიწად-მოქმედების განყოფილებამ მოაწყო საცდელი მინდვრები სართოჭალაში, დიღომში, მანგლისში და მარტყოფში.

— **ქართული ენის შესახებ.** ქალ. აღმასკომის დადგენილების თანახმად, ტფილისის ყველა სავაჭროებზე და დაწესებულებებზე 1 აგვისტოდან უნდა იყოს ქართული წარწერები. ქართულის შემდეგ შეიძლება წარწერები იყოს სხვა ენებზედაც.

განათლების კომისარიატში

— **თხოვნების შეწყვეტა.** განათ. სახ. კომისარიატი აცხადებს დაინტერესებულთა საყურადღებოთ, რომ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გადაყვანისა და მივლინების შესახებ თხოვნების მიღება შეწყვეტილია.

რკინის გზაზე.

— **შუამდგომლობა.** რკინის გზის ჯანმრთელობის განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა რკინის გზის კოოპერატიულ მომხმარებელ საზოგადოების წინაშე, რათა ბათომის ავადმყოფ რკინის გზელთ ნაღდ ფულზე დაეთმოს სხვა და სხვა პროდუქტები და პური საერთო წესით.

— **საქონლის დაგზავნა.** აღნიშნულმა კოოპერაციამ თავის განყოფილებებს დაუგზავნა ახალი პარტია ლამპის შუშების, რკინის მავთულების და სხვა და სხვა საქონლის.

შრომის ბირჟა

— **შრომის ბირჟა ახალ ბინაზე.** ტფილისის შრომის ბირჟა უკვე გადავიდა ახალ ბინაზე მადათოვის ქუჩაზე № 3.

— **უმუშევრების გაგზავნა გროზნაში.** შრომის ბირჟამ გროზნაში გააგზავნა აღმშენებელთა კავშირის 93 წევრი, გროზნის ნავთის წარმოების აღსადგენათ დაწყებულ სამუშაოზე.

სხვა და სხვა.

— **სახელმწიფო ენა სამხრეთ-ოსეთში.** სამხრეთ-ოსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით აღნიშნულ რესპუბლიკაში სახელმწიფო სავალდებულო ენად გამოცხადდა ოსური ენა. მეზობელ რესპუბლიკებთან კავშირის დასაჭერათ რჩება რუსული ენა.

— **როგორ უნდა სწერონ მუშკორებმა.** გამოვიდა ამხ. კოვალენკოს წიგნი მუშა-კორესპოდენტების სახელმძღვანელოთ: „როგორ უნდა სწერონ მუშკორებმა“.

— **ახალი კურსები.** ქ. ონში გაიხსნა ქართული საბუღალტერო კურსები. გახსნას ჰქონდა საზეიმო ხასიათი.

— **ავიაციის კვირეული.** დღეიდან ტფილისში დაიწყო წითელი საჰაერო ფლოტის კვირეული. კლუბებსა და თეატრებში გაიმართება ლექციები ფლოტის მნიშვნელობაზე. აგრეთვე გაიმართება შემოსავლის მიზნით წარმოდგენები და კონცერტები.

ხელოვნება

— **პროლეტ-კულტის დრამატ. ტეხნიკუმის საზაფხულო მოგზაურობა.** პროლეტკულტის დრამატ. ტეხნიკუმი 15 აგვისტოდან რეჟისორ დ. კობახიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრება საქართველოს დაბა—ქალაქებში პროლეტარულ სალიტერატურო საღამოების გასამართავად.

— **მუსიკის თეორია.** გიორგი სვანიძემ დასწერა სამასწავლებლო ტეხნიკუმებისათვის სახელმძღვანელო „მუსიკის თეორია“ ქართულ ენაზე.

— **პროლეტარული საღამო** 12 აგვისტოს ხელოსანთა კლუბში გაიმართება პროლეტარული საღამო.

მუშათა ცხოვრება

კვირას, 5 აგვისტოს, დილის 7 საათზე „კომუნისტი“-ს თანამშრომელთა და მუშ.-კორთა ექსკურსია მიემგზავრება ზემო-ავჭალაში. ექსკურსანტები უნდა მოგროვდენ ტფილისის სადგურის პირველ კლასის დარბაზში 6 ნახ. საათისათვის.

მუშათა ქუჩებს განათება სჭირდება.

(ალმასკომის საყურადღებოთ).

მეორე რაიონში „წყაროს უბანი“, ტარიელოვის შესახვევი, არკადიის ქუჩა და სხვა რამდენიმე ამნაირი შესახვევები მდებარეობენ თითქმის კლდის ქვეშ. იქ არის მშვენიერი წყაროები, რომლითაც სარგებლობენ მთელი იქაური მუშა-მცხოვრებლები. უწყლოობის დროს კი თითქმის რუსთაველის პროსპექტიდან მოდიან წყლისათვის: სამწუხაროდ, ეს ქუჩები ძალიან ბნელია; არსად არ არის ელექტრონის, გაზის ან და უბრალო ნავთის ფარანი, რომ გაანათოს ეს ჯურღმულში ჩავარდნილი უბნები.

მეტადრე ძნელი და აუტანელია ეს უწყლოობის დროს, როცა რიგში—შუაღამისას დგანან ასობით—კაცი, ქალი და ბავშვები. საღამოს ათ საათზე რომ ვინმემ გამოიაროს ამ ქუჩებით, მას ეგონება, რომ ის რაღაც ბნელ ჯურღმულისაკენ მიექანება და არა ქუჩაზე მიდის. დღე არ გავა ისე, რომ აქ რაიმე ქურდობა არ მოხდეს.

მართალია, სახლის პატრონები ანთებენ ლამფებს, მაგრამ ეს სრულებით არ კმარა ამ ბნელეთის გასანათებლად. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა მიექცეს ამას ყურადღება, ვისგანაც ჯერ არს, რათა მუშათა უბანს მიეცეს საკმაო სინათლე.

მუშა ტ. კორძაია.

როგორ გავატარეთ დრო ბორჯომში.

(მუშა ქალის ნაამბობი).

ჩვენ ორი ქალთა სამკერვალოს კავშირის წევრი და ამავე დროს ქართული მუშფაკის მსმენელები ვმსახურობდით 1-ლ სახელმწიფო სამკერ. სახელოსნობი, ვიყავით ერთი თვის შვებულებაში. დიდი ხნის შრომით და სწავლით დაქანცულებმა ვსთხოვეთ კავშირს, რათა მას ჩვენ გავეგზავნეთ დასასვენებელ სახლში და 1 ივლისს ორი ქალი კავშირის დადგენილებით გავემგზავრეთ ბორჯომში.

უკვე ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც ჩავედით ბორჯომის სადგურზე, სადაც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი და ელოდებოდნენ თბილისიდან მომავალ მატარებელს. ჩვენ გადმოვედით მატარებლიდან, მაგრამ კი არ ვიცოდით საით წავსულიყავით. ამ დროს მოგვესმა ხმა ვიღაც ქალის, რომელიც იძახდა: „ვინახართ დასასვენებელ სახლში მოსული ჩემთან წამოდითო“. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ამ ქალს გავყევით ქალმა ჩვენ მიგვიყვანა დასასვენებელ სახლში. გააღვიძა ადგილკომი, რომელსაც ირჩევენ თვით მუშა-სტუმრები თავის მხრიდან, რათა თვალყური ადევნოს ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა მუშაობას და აგრეთვე მოსულ სტუმრებს, რათა დააბინაოს ყველა მათგანი თავთავის ადგილას.

ადგილკომის თავმჯდომარემ მოგვცა მოსასვენებელი ოთახი. მოუთმენლად ველოდით გათენებას, რათა დაგვეთვალიერებია ჩვენი სახლი და აგრეთვე ბორჯომის თვალ-წარმტაცი ბუნებაც, რომელიც ერთ დროს წარმოადგენდა მდიდრების და „დიდებულების“ სააგარაკოს. თუმცა დღესაც ბევრნი ბრძანდებიან აქ, რომელთაც უქმი და ბევრი ჭამით ქონი მორევიათ და მჟავე წყალსა სვამენ რომ ცოტა მაინც გახდენ, მაგრამ აქვე მუშაც ტკბება აქაური ბუნებით—ჰაერით და სხვ. ის ზიზღით იგონებს წარსულს და სტკბება აწმყოთი და იმედოვნებს მომავალით.

გათენდა, რასაც ჩვენ ასე მოუთმენლად მოველოდებოდით, უკვე ყველა სტუმრები ამდგარიყვნენ და ექსკურსიით წაღვერში წასვლას ემზადებოდნენ. ჩვენც გვთხოვეს ამხანაგებმა, მაგრამ ჩვენ ვერ წავედით, რადგან გზის ფულის მეტი არ გვქონდა და თანაც დაღალულიც ვიყავით. ამ დღეს ოთხი კაცი ვიმყოფებოდით სახლში, სხვები ექსკურსიაზე იყვნენ წასული.

საზღვარი არ ჰქონდა ჩვენს სიამოვნება და სიხარულს. ყოველ დღე დავდიოდით სხვა და სხვა ადგილებზე და ვსტკბებოდით ძვირფას სანახაობით. არ დაგვრჩენია არც ერთი კუთხე ბორჯომის, რომ არ გვენახა. დავისვენეთ კარგად და ბევრი სიამოვნებაც ვნახეთ.

მუშა ქალი მარიამ გველესიანი.

დაუშვებელი რამ

ა. | წ. აპრილიდან 1-ლ საბჭოთა ქარხნის მმართველობას ლითონის განყ. კოლეგიისაგან გაეგზავნა მოწერილობა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქარხნის სრული შეჩერების გამო მისი კაპიტალური შეკეთებისათვის, ყველა აქ მყოფი დაკვეთა გადატანილ ყოფილიყო მე-2 ქარხანაში და მე-3 ავტო სახელოსნოში დასასრულებლად. ის სამუშაოები კი, რომელთა გადატანა სხვა ქარხნებში ტეხნიკური მიზეზებით შეუძლებელი იყო, დათავებულ უნდა ყოფილიყო ადგილობრივ, 1-ლ ქარხანაშივე. ყველა ახლად მიღებული დაკვეთა უნდა წარეგზავნათ ტეხნიკურ განყოფილებაში. ასეთი განკარგულება კოლლეგიისა გაიგზავნა ქარხანაში მას შემდეგ, როდესაც ეს დადასტურებული იყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ და პარტიულ და პროფესიონალურ ორგანოებში.

ამის და მიუხედავად ა. | წ. 23 ივნისს პირველ ქარხანაში მიღებული იყო შეკვეთა „არკოსი“, რაც დღესაც არ არის შესრულებული. ამ გარემოებამ შექმნა ერთგვარი ალიაქოთი, და გამოიწვია დიდი უსიამოვნება დამკვეთსა და ადმინისტრაციას შორის.

ცხადია, რომ 20 აპრილის განკარგულების შემდეგ, ქარხნის მმართველობას უფლება არ ქონდა, მიეღო შეკვეთა „არკოსი“ ტეხნიკური განყოფილების დაუკითხავათ, მით უმეტეს, რომ ყველა განთავისუფლებული მუშები კოლეგიის გადაწყვეტილებით უნდა ყოფილიყვნენ გადაყვანილი სხვა ქარხნებში ასეთი განკარგულება კოლეგიისა, რომელიც იყო დამყარებული საფუძვლიან მოსაზრებებზედ, 1-ლ ქარხნის გამგის მიერ არ იქნა შესრულებული, და 23 ივნისს ქარხანა იღებს შეკვეთას „არკოსი“. რასაკვირველია, ამაში არის უმაღლეს ორგანოს განკარგულების და საერთო წესიერების დარღვევა, რაც ყოვლად შეუძლებელია.

თვით ქარხანაში გამეფდა ისეთი ატმოსფერა, რომელიც ჰქმნის კოლეგიის და ქარხნის გამგეობის ერთად მუშაობის შეუძლებლობას. წარმოების ნაყოფიერებაში პასუხისმგებელია მხოლოდ ლითონის განყოფილების კოლეგია და არა სხვა ვინმე.

თვით მუშები სავსებით იზიარებენ კოლეგიის დადგენილებას იმ საღი მოსაზრებით, რომ ქარხანას სჭირია კაპიტალური შეკეთება, რათა შენარჩუნებულ იქნეს ქარხნის მანქანა-ავეჯეულობა, და არავითარი ზიანი არ მოუტანოს მუშებს ქარხნის დაძველებამ, მით უმეტეს, რომ ქარხნის დაკეტვით არც ერთი მუშა არ რჩება გარედ, ყველა მუშები გადჰყავთ სხვა და სხვა ქარხანა-სახელოსნოში. და მე ვგონებ, რომ ჩვენ ყოველის მხრით ხელი უნდა შევუწყოთ საბჭოთა ხელისუფლებას აღმშენებლობით მუშაობაში, მის წარმოება-აყვავებაში. ეს არის ყველა მუშის პირდაპირი ვალდებულობა. როცა ინგრევა ძველი და შენდება ახალი, უნდა გვქონდეს უსათუოდ მტკიცე და სწორი ხაზი მეურნეობაში, თუ არ გვსურს ჩვენივე დამარცხება სამეურნეო ფრონტზე.

ქარხნის გამგეობას კი გული შესტკივა, რომ ქარხნის დაკეტვით, მათ მოაკლდებათ „სპეც-ჯამაგირები“.

მუშკორი მელეთონე.

განა ასე შეიძლება!?

(შრომის კომისარიატის და პროფკავშირის საყურადღებოდ).

ა. წ. 1-ლ ივნისიდან სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგრედ წოდებულ ტეხნიკურ პერსონალს (მუშა-მოსამსახურეთ თითქმის ნახევრად შეგვიმცირეს ჯამაგირები. მასთან ივნისის ჯამაგირებიც მივიღეთ მაისის ჯამაგირის რაოდენობით, ივლისის ჯამაგირის მოცემასაც ასე აპირობენ. გამოდის, ვითომ ჩვენ სადღაც განსაკუთრებულ კუნძულზე ვცხოვრობდეთ და ეს სიძვირე, რომელიც დღითი დღე მატულობს, უნივერსიტეტის მუშა-მოსამსახურეს არ გვეხებოდეს. როგორც ჩვენ გავიგეთ, ამ საქმის გამოსწორებისათვის იყო ამორჩეული და გაგზავნილი დელეგაცია მთავრობასთან.

ჩვენ გვაქვს სრული იმედი, რომ შრომის დაცვის ორგანოები გამოასწორებენ სასწრაფოდ ამ უსამართლობას.

უნივერსიტეტის თანამშრომელი.

მუშათა ქრონიკა

— **მუშკორების ექსკურსია ზემო ავჭალაში.** 5 აგვისტოს გაზეთ. „კომუნისტი“-ს მუშა-კორესპონდენტების და თანამშრომელთა ექსკურსია მიემგზავრება ზემო-ავჭალაში- ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის ასაგებად წარმოებულ მუშაობის და ადგილობრივი წყალსადენის დასათვალიერებლად. ექსკურსიაში შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სხვა მუშებსაც.

რიცეულის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის შესახებ

რაჭის ალმასკომი შეუდგა ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აგებას მდინარე რიცეულზე, ის მოგვცემს განვითარების შემდეგ საშვალოთ 10.000 ც. ძ. ძალ. დღეს კი განზრახულია სამი აგრეგატის მოწყობა. ერთი აგრეგატი, 1.000 ც. ძ. გასული წლის გაზაფხულზე იქნა შეძენილი. შემდგარი იყო კომიტეტი, რომელმაც ენერგიულათ მოკიდა ხელი საქმეს; ის შეუდგა გასულ წელს საშვალებების შეგროვებას და მასალების დამზადებას. მისი თხოვნით ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაავალა ჰიდროშენს გაეკეთებია შესაფერი გამოკვლევები, შეედგინა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა სადგურის ასაშენებლათ. გამოკვლევებისათვის საჭირო საშვალებებს და ტეხნიკურ პერსონალის საგრძნობ ნაწილს იძლეოდა კომიტეტი. გამოკვლევები, პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვა გაათავა ჰიდროშენმა, მის ლიკვიდაციის და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაარსების წინ. მუშაობა მუდამ მიმდინარეობდა სრულ კონტაქტით კომიტეტთან. ამ დროისათვის მან შეასრულა ბევრი მოსამზადებელი მუშაობა. მაგალითად: გაიყვანა ოთხი ვერსი გზა-ტკეცილი სამხედრო—ოსეთის გზიდან იმ ადგილამდე, სადაც სადგური უნდა აშენდეს, ააგო ბარაკები მუშა-მოსამსახურეთათვის, საწყობებისათვის და სხვ., დაამზადა ხე-ტყე, ქვა, ქვიშა, კირი და ალებასტრი.

ჩნდება საქართველოს ჰიდრო-შენის მაგიერ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო „ზაკვოდხოზი“ ჰიდრო-შენის პროექტები და ხარჯთ-აღრიცხვა დავიწყებას მიეცა. ის საქმე, რომელიც დაწყებული არ ჰქონდა მას, რჩება, მიუხედავათ იმისა, რომ მოწყობილი ორგანიზაცია ჰქონდათ.

„ზაკვოდხოზი“-ს გამგე, ამხ. ბაგდატიევმა, აკუთნებდა რა ის ამ სადგურს დიდ მნიშვნელობას, შეჰკრა კომიტეტთან პირობა, რომლის მიხედვით უნდა მიეღო კომიტეტს, ხარჯთ-აღრიცხვით ფულის მიღებამდე „ზაკვოდხოზიდან“ 150.000 მან. ოქროთი. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვანაირათ მოხდა. არამც თუ მანამდე, არამედ მას შემდეგ, რაც ა. ქ. ფის ახკომჰა თანხა გადადო ამ სადგურის ასაგებათ, „ზაკვოდხოზს“ არავითარი ფინანსიური დახმარება არ მიუწოდებია კომიტეტისათვის. ასეთი დამოკიდებულება ანელებს ადგილობრივი ხალხის თვითმოქმედებას, კლავს მასაში ინიციატივას და აფერხებს საქმეს.

საბჭოთა აღმშენებლობის პრაქტიკა მიისწრაფის იქითკენ რომ ადგილობრივ დაინტერესებული მშრომელი ხალხი ჩაებას საქმეებში, გამოაჩინოს მას ინიციატივა და დამოუკიდებლობა თავის მეურნეობის გაუმჯობესებაში, თავის საკუთარი — ძალ ღონით, — ეხმარება რა მას სესხისა და დახმარების გაცემით, ადგილობრივ საქმეებს მსხვილი მასშტაბითაც კი, უნდა აწარმოებდეს ადგილობრივი ორგანიზაციები, ეტოვება რა ცენტრს უმაღლესი ინსპექციის ფუნქციები.

შემდეგ, დიდი საქმეებისათვის, რომელიც კეთდება განსაკუთრებით სახელმწიფოს ხარჯით, პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილია ცალკე საამშენებლო ორგანიზაციის მოწყობა, ცენტრალური დაწესებულებების გარდა, რომელნიც განაგებენ გეგმიან აღმშენებლობას საერთო რესპუბლიკანურ მასშტაბში. მაგალითები ბევრია; დავასახელებთ თუ გინდათ შემდეგს; „ვოლხოსტროი“, „კომსაგეს“, „შატურსტროი“, „კაშირსტროი“, ჩათახის კომიტეტი, ოზურგეთის რკინის გზის კომიტეტი, ორენბურგის კომიტეტი, ურალის წყლების გამოყენების კომიტეტის და სხვა.

რადგან ყოველი აღმშენებლობა თხოულობს განსაკუთრებულ საამშენებლო შტატს ადგილობრივ,—თავის თავად ცხადია, რომ საამშენებლო მოქმედების ერთ ცენტრში მოთავსება არ მოასწავებს შტატის ეკონომიას; პირიქით იგი მოითხოვს დამატებითი შტატს, ცალკე შენობების შესაფერის თვალყურის დევნისათვის და ხელმძღვანელობისათვის.

ცენტრალური მმართველობისათვის, რომელიც განაგებს ყველა შენობებს და აგრეთვე საერთო ადმინისტრატიულ აპარატს,—ძნელია და ხშირათ ფორმალური პირობების გამო,—შეუძლებელი არის სათანადოთ და თავის დროზე შოვნა ყოველ შენობისათვის საჭირო საშვალებებისა, ამას გარდა არ არის შესაძლებელი ადგილობრივი აღმშენებლობის მთელი პროგრამის გათვალისწინება.

მასალის მოწოდება ცენტრიდან არასდროს არ ხდება ელასტიურად, რომ თავის დროზე დააკმაყოფილოს ყველა მუშაობის მოთხოვნილება.

ადგილობრივ მცხოვრებლებს და ძალებს საშვალებას უხპობს მონაწილეობა მიიღონ წარმოების პროცესში. ჰკლავს მასში ინტერესს საქმისადმი, ხელს უშლის მონაწილეობა მიიღოს თავის საკუთარ მეურნეობაში.

რაც უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ აღმშენებლობას ადგილობრივ მცხოვრებთათვის მით უფრო მეტ ზიანს მოუტანს ხალხს ანნაირი მოშორება ადგილობრივ საქმეებიდან.

რიცეულის სადგურის აგება თითქმის სამკვდრო სასიცოცხლო საკითხია დამშეულ რაჭისათვის და რაც უფრო ჩქარა განხორციელდება იგი მით უფრო ჩქარა იქნება შესაძლებელი მაზრის სწრაფი ეკონომიური აღორძინება.

ეს სადგური გათვალისწინებულია განსაკუთრებით ადგილობრივი გაჭირების შესამსუბუქებლად,—მაგრამ მას შეიძლება დაეკისროს საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანები როგორც მაგალითად, ენერგიის მიწოდება შავი ქვის რაიონისთვის სურამის უღელტეხილისთვის და სხვ, ამიტომ მეტად საჭიროა მჭიდროდ დაკავშირება სადგურის აშენების საკითხი ადგილობრივ მცხოვრებლებთან და სახელმწიფოებრივი დახმარების აღმოჩენა სესხის მიცემით.

სადგურის აგების მთელი ორგანიზაცია უნდა იკისრონ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა. ამასთანავე უშუალო საქმეებს აწარმოებს სპეციალური „რიცეულის ჰიდრო ელექტრო სადგურის ამგები კომიტეტი“ „ზაკვოდხოზს“ უნდა დაეტოვოს მხოლოდ მუშაობის საერთო ტეხნიკური ინსპექციის უფლება. კომიტეტი უკეთ შესძლებს, ვინემ სხვა რომელიმე ცენტრალური დაწესებულება, ჩააბას საამშენებლო საქმეში ადგილობრივი მცხოვრებლები, რომელიც არ იშურებენ დახმარებას როგორც შრომით ისე სალსრით;

უკეთ შესძლებს აგრეთვე სამუშაოს მოწესრიგებას, მასალების ყიდვას და სხვ. ტეხნიკური პერსონალი, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება კომიტეტს; უფრო უკეთ იქნება გამოყენებული, რადგან მისი პასუხისმგებლობა არ იქნება ორათ გაყოფილი კომიტეტს და „ზაკვოდხოზს“ შორის, რომელიც ამასთანავე შორს იმყოფება. შემდეგ იგი იგრძნობს, რომ მუდმივი მონაწილეა და თანამშრომელია ამ სადგურის აგების და არ იქნება დაქსაქსული სხვადასხვა ამოცანების გატაცებით, როგორც ცენტრალური დაწესებულების თანამშრომელი.

რიცეულის სადგურის აგება არ უნდა გაჭიანურდეს რადგან მისგან არის დამოკიდებული რაჭის სვე-ბედი; ამიტომ აღნიშნულ კომიტეტს უნდა მიეცეს ყოველგვარი უფლებები როგორიცა აქვთ ზემოავჭალის ჰიდრო-ელექ. სადგურის და სხვა კომიტეტებს

ა. კობახიძე.

პროვინციაში

ს. წყნეთი

გაზეთ „კომუნისტის“ № 175 ში მოთავსებულია წერილი ფრონისწყლის პირელის, სადაც ის ლაფში სვრის ალმასკომის თანამშრომლებს და მილიციის უფროსს წყნეთის თემისა. ის სწერს: „ყოველ წითელ ლაშქრელს ეგონა, წყნეთი, როგორც ტფილისთან დაახლოვებული, ყველაფრით მოწყობილი და განათლებული იქნებოდა“. მაგრამ მათ მოლოდინი გაცრუებიათ. არც მე უარვყოფ იმ ფაქტს, რომ ს. წყნეთი არ არის კარგად მოწყობილი. ამხ. ფრონისპირელს უნდა მოეხსენებოდეს, რომ ამ თემის მოსაწყობად საკმარისი არ იყო წელიწად ნახევარი წყნეთში ჩემი ყოფნის დრო. მაგრამ თამამათ შემიძლია ვსთქვა, რომ შედარებით წარსულ წელთან მიმდინარე წელს წყნეთი გაცილებით წინ დგას. შარშან თუ წყნეთის სკოლაში სწავლობდა მარტო 30 მოწაფე, დღეს 120 მდის ითვლება. გლეხი თუ წარსულ წელს ინდიფერენტულად უყურებდა სწავლის საქმეს, დღეს უფრო ხალისით ეკიდება მას. ეს უნდა აიხსნას წყნეთის თემში მომუშავე ამხანაგების აგიტაციით გლეხთა შორის სწავლის აუცილებლობაზე. სკოლის შენობა წინეთ წარმოადგენდა საცოდავ სანახაობას, ის კაპიტალურათ შეკეთებულია. კედლების ჩამონგრევას ადგილი არა აქვს შენობაში, წინააღმდეგ ამხ. ფრონისწყლისპირელის მტკიცებისა.

შემდეგ ის ამბობს: „შეხედავთ ალმასკომის შენობას—დღე და ღამე დაკეტილია; თუ საქმე გაქვთ, უნდა იცადოთ სამი დღე და შეიძლება როგორმე გაიღოს“. როგორც სჩანს ავტორის წერილიდან, ალმასკომი ფაქტიურათ აღარ არსებულა. მაშ ნება მომეცით შევეკითხოთ, ამხ. ფრონისწყლისპირელო: როგორ მოხდა, რომ 450 კომლიან თემში და ამას თუ მივუმატებთ საგარაკოთ ამოსულ 500-მდე, რომლებიდანაც ალმასკომში ყოველ დღე სხვადასხვა საქმეებზე მოდის ოცდა ათიოდე მაინც, ეს მოვლენა საგრძნობი შეიქნა მარტო თქვენთვის და არა ხალხისათვის. უნდა ავღნიშნო, რომ ალმასკომი იღება საერთო წესით და იქ მუშაობა ნორმალურად სწარმოებს დაწესებულ დრომდე შეიძლება წერილის ავტორმა გამოიარა ალმასკომის წინ საღამოს 5 საათზე და დაავიწყდა არსებული ამ ჟამად შრომის კანონები და წესები?!

ჩემი მონახვა, ავტორის სიტყვით საჭიროებას დროს შეიძლება თურმე რესტორანებში „ჰიქით ხელში“ და „რეჩებით“ სპეკულიანტებთან ერთი წელიწად ნახევარია, რაც მე წყნეთში ვცხოვრობ და არა მგონია, რომ ვინმემ დამიმტკიცოს დუქანში ქეიფი. თუ ამხ. ფრონისწყლისპირელი შესძლებს,—ვნახოთ.

წარსულ კვირას საკავშირო ასეულმა სოფ. წყნეთში მოაწყო საღამო-წარმოდგენა. თურმე მე მათთვის დიდი დახმარება გამიწევია: „სადაც შევსულვარ“, ყველგან „თითო ჭიქა ღვინო დამილევია“ და სხვა არაფერი. ამაზე უსათუოთ უნდა გაწითლებულიყო წერილის ავტორი. თუ თვითონ არ იცოდა ამხ. ფრონისპირელმა, უნდა გაეგო, რომ საღამოსთვის არც სცენა იყო და არც დასაჯდომები. შევკითხეთ მაინც, ამხ. ფრონისწყლისპირელო, პოლიტხელს ხსენებული ასეულისას, რომლის ინიციატორობით იმართებოდა ხსენებული საღამო, თუ ვისი დახმარებით მოეწყო სცენა და დასაჯდომები, თუ არა ჩემი პირადათ და ალმასკომის?!

წყნეთის მილიციის უფროსი ა. დათეშიძე.

ატენის თემი

სოფელი რეხა ატენიდან დაშორებულია 60—65 ვერსის მანძილით. ერთად ერთი გზა—ბილიკი ატენიდან მიდის ხეობით მდინარე ტანის პირას. საზოგადოთ მთელი ატენის ხეობა წარმოადგენს ბუნების სიტურფით დაჯილდოვებულ კუთხეს. გზის მარჯვნივ და მარცხნივ ატეხილია შავათ დაბურული ტყეები, სადაც იმდენათ ბევრი ინახება თოვლი, რომ ხშირათ მთელი ზაფხულის განმავლობაშიც ვერ დნება.

იყო დრო, როდესაც ცნობილ ზეზმონის ორთქლმავლები არღვევდენ ამ ხეობის იდუმალ მყუდროებას, მაგრამ მას შემდეგ, რაც მენშევიკურმა მთავრობამ მოსპო ეს რკინის გზა, ამ ბუნებაში ხელახლა გამეფდა ჯადოსნური მყუდროება ატენის ხეობიდან რეხამდის კიდევ 7—10 ვერსის მანძილზე მინდვრებია.

თითონ სოფ. რეხა მდებარეობს ერთ პატარა მინდორზე აღმოსავლეთით ის ესაზღვრება მანგლისის რაიონში მდებარე წალკას, დასავლეთით ამართული აქვს გუჯარეთის მთა, ჩრდილოეთით საჯაის მთა, ხოლო სამხრეთით შავ ნაბადას მთა. ეს სოფელი ეკონომიურათ მდიდარია, მაგრამ კულტურულათ იგი საშინლათ ჩამორჩენილია. რეხაში ას ორმოცდაათ კომლამდე მცხოვრებია, მაგრამ ვიდრე ზედ სოფელს არ წააწყდებით, ვერ დარწმუნდებით, რომ აქ სოფელია და არა ოთხი-ხუთი მოსახლეობა, რადგანაც სოფელი სცხოვრობს მიწაში, ბინები უსინათლოა, ბნელი და ნოტიო.

ტყე აქვთ შორს და, როგორც გადმოგვცეს, მათთვის გამოუყენებელია, რადგანაც სასტიკად აქვთ აკრძალული მისი ხმარება. ამისათვის მთელი სოფელი იძულებულია მთელი წლის განმავლობაში შეშის მაგიერ იხმაროს წივა (საქონლის გამხმარი პატივი); მითი ითბობენ ბინას, მასზე აცხობენ პურს და მასზევე ხარშავენ საჭმელს. თუმცა მათი ცხვრებით და სხვა და სხვა გვარი საქონლით შეფენილია მათი მთა გორაკები, მაგრამ სიბინძურისა და უბედურებისაგან თავი ვერ დაუხწევიათ. 150 კომლიდან თითქმის 120—ქართველია, დანარჩენი ბერძენი. თუმცა ქართული ენა იციან, მაგრამ მუდმივ მათთვის სახმარებელი ენა თათრულია. ძალიან გავრცელებულია ყოველგვარი ცრუმორწმუნეობა. არა თუ ცარიზმისა და მენშევიკების დროს, არამედ ეხლაც კი, საბჭოთა ხელისუფლების დროს, რეხაში კულტურული მიზნით არავის გაუვლიათ; რომელიმე სპეკულიანტი თუ შეაღებს რეხელების კარს, თორემ განათლებულ კაცს იქ რა მიიყვანს. პარტიულ ამხანაგებს ხომ აქ სრულებით არ გაუვლიათ. რაღა გასაკვირველია, რომ რეხელებს საბჭოთა მთავრობის მუშაობაზე წარმოდგენაც არა ჰქონდეთ.

რეხელები თემის ცენტრში იშვიათად ჩამოდიან. თუ ვინმე იძულებულია ცენტრში ე. ი. ატენში წავიდეს, იგი მთელი კვირით უნდა გამოეთხოვოს თავის სახლ კარს, რადგან სამ-სამი და ორ ორი დღე მაინც დასჭირდება გზაში, ხოლო თუ მდინარე ტანა ადიდებულია, მაშინ შეიძლება ორი კვირაც მოუნდეს მას გარეთ დარჩენა, რადგანაც როგორც ზემოთ ვთქვით, ერთად ერთი გზა-ბილიკი მისდევს მხოლოდ მდ. ტანის პირას ხევში და ეს მდინარე კი თავის გამძვინვარების დროს ისე მოიცავს მთელ ხეობას, რომ ბილიკის კვალიც კი აღარსად სჩანს. ამის გამო, ჩვენის აზრით უკეთესია, რომ ეს სოფელი ჩამოშორდეს ატენის თემს და მიეწეროს წალკის თემს, რომელსაც ამას წინეთ ექვემდებარებოდა და მხოლოდ გაუგებრობის გამო ჩამოშორებია.

ხშირად შეხვდებით ხეობაში 5—6 კომლობით მოსახლეობას, რომელნიც ერთი მეორისაგან დაშორებულია ათი-თორმეტი ვერსის მანძილით. უმჯობესი იქნებოდა მათთვის ერთად თავის მოყრა და შემჭიდროება.

ეპიფანე სიამაშვილი.

სკოლის საკითხი კურსების თემში

გაზ. „კომუნისტის“ მე-172 №-ში მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომლის ავტორი „მიუდგომელი“ ეხება რა კურსების თემში შრომის შკოლის დაარსების საკითხს, აღნიშნავს „იმ დიდ უთანხმოებას“, რომელიც გამოიწვია ამ საკითხმა თემის სოფლებში, სახელდობრ, კურსებისა და ცუცხვათის შორის.

დასმულ საკითხზე თუ სად სჯობს თემისათვის სასწავლებლის აშენება, მოქ. „მიუდგომელი“ გარკვეულ პასუხს არ იძლევა. „მიუდგომელი კაცი ყოველთვის იტყვის,—ამტკიცებს ანბანურ ჭეშმარიტებას მოქალ. „მიუდგომელი“,—რომ თუ სასწავლებელი კურსებში აშენდება, ეს კურსებს და მის ახლო-მახლო სოფლებს: გაღმა-გამოღმა კურსებს, ნაზოსლევს და გელათს გამოადგება; მიწვდება აგრეთვე სოფლები კოკა და ოხომირა; მაგრამ ბავშვები ცუცხვათიდან კურსებში ვერ ივლიან, გზა არ ვარგა, შვიდი ვერსის მანძილზეა და სხვ. თუ ცუცხვათში აშენდა სასწავლებელი იგივე მდგომარეობაში ვარდება კურსებიც“.

მოქ. „მიუდგომელი“ არ იზიარებს ცუცხვათელების აზრს, რომ სასწავლებელი დაარსდეს ორპირში, „რადგან ორპირი შკოლის ბინათ არ ვარგა, ის ყველასთვის დაშორებული იქნება“. მაშასადამე, გამოსავალი? გამოსავალი მხოლოდ ერთია: „კურსებმა და ახლო-მახლო სოფლებმა, რომელსაც ეხერხება კურსები, აიშენონ სასწავლებელი, საჭირო ხარჯები გასწიონ; აგრეთვე მოიქცეს ცუცხვათი“.

ჩვენც სრულიად უერთდებით თქვენს აზრს მოქ. „მიუდგომელო“, და სათანადო წინადადება მივეცით ორივე სოფელს, მაგრამ საქმე ის არის, რომ კურსებს უნდა თავის ხარჯზე სასწავლებლის აშენება, ცუცხვათს არა; კიდევ მეტი: აქ თავი იჩინა კუთხური კინკლაობამ და ქიშპობამ, როგორც ხშირათ ხდება ასეთ შემთხვევაში სოფლად, აქ აღმოჩნდა ვითომდა „ხალხის წარმომადგენელი“ ვიღაც როინიშვილი, რომელმაც გააბა მთელი ქსელი ინტრიგებისა და პროვოკაციისა, აიყოლია რამოდენიმე გულუბრყვილო გლეხი, გადაჰკიდა ორი მეზობელი სოფელი ერთმანეთს... ჩვენ ჩავერიეთ ამ საქმეში და მოვაწესრიგეთ საკითხი ისე, როგორც ამას მოითხოვდა საქმის ვითარება და საჭიროება. ჩვენ ავლაგმეთ როინიშვილი—ეს სოფლის „რაინდი“ ცუცხვათის გლეხობის არა მკითხე წარმომადგენელი.

სამაზრო განათლების განყოფილებას აქვს თავისი გარკვეული გეგმა და გზა კულტურული მუშაობისა. ამ გეგმას ის შეურყევლად ანხორციელებს. მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა განსაკუთრებით სოფლად; აუარებელი ხელშემშლელი პირობები გვეღობება წინ,—და ნურას უკაცრავათ მოქ. „მიუდგომელო“,—თუ ასეთ შემთხვევაში როინიშვილებს, რომელნიც სახალხო განათლების საქმეს ხელს უშლიან და წინ ეღობებიან, არ მოვერიდოთ.

ქუთაისის მაზრის სახალხო განათლების განყოფილების ინსტრუქტორ ორგანიზატორი დ. მახარაშვილი.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის მორიგ ნომერში გამოაქვეყნოთ შემდეგი.

მე ქვემორე ამისა ხელის მომწერი 1917 წლ. ვირიცხებოდი საქ. სოც.-რევ. პარტიის წევრად. 1920 წლიდან გავწყვიტე ყოველგვარი კავშირი ამ პარტიასთან, ვინაიდან მან კერენსკის, ჩერნოვის, აქსენტიევის მეთაურობით უღალატა მშრომელი კლასების ინტერესებს, უწყობდა აჯანყებას მუშათა და გლეხთა მთავრობას, მჭიდრო კავშირი დაიჭირა, როგორც შინაური, ისე უცხო რეაქციონურ ძალებთან.

ხელს უწყობდა ინტერვენციას, რომ ჩაეხშო ნამდვილი გლეხთა და მუშათა სურვილების და ინტერესების გამომხატველი საბჭოთა მთავრობა. არც საქართველოს ს. რ. ჩამორჩენ თავიანთ მოძმეებს საქართველოს მენშევიკების „გმირულ“ საქმეებში: ამიერ-კავკასიაში ერთა შორის სისხლის ღვრა, მშრომელთა აწიოკება და მრავალი სხვა. უწევ რა ანგარიშს ზემო აღნიშნულ ფაქტებს, ვრაცხ ნამდვილი მშრომელთა ინტერესების გამომხატველად მხოლოთ საბჭოთა მთავრობას. როგორც მასწავლებელი მზათა ვარ თავგამოდებით ვიმუშაო პედაგოგიურ ასპარეზზე მუშების და გლეხების საკეთილდღეოთ.

ვარლამ ზოდელავა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 27.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

„დამატებითი უქმე დღეების შესახებ“.

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 112 მუხლისა, შრომის კანონთა კოდექსის 111 მუხლში ნაჩვენებ უქმე დღეების გარდა, დასასვენებლად განსაკუთრებულ 10 დღის დაწესების შესახებ, შრომის სახალხო კომისარიატი საქ. პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს.

1) დასვენების განსაკუთრებულ დამატებით დღეებათ, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივ პირობებსა და აგრეთვე საქართველოს მოსახლეობის მართმადიდებელ სარწმუნოების მაღიარებელ მცხოვრებთა სურვილთან, ჩაითვალოს შემდეგი 10 დღე.

1) საქართველოს გასაბჭოების დღე—25 თებერვალი.
2) ქრისტეს შობა—2 დღე.
3) აღდგომა—2 დღე
4) ხარება.
5) ნათლიღება.
6) ამაღლება.
7) ფერისცვალება.
8) მიძინება.

2. ამ დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნულ დასვენების დღეების უქმობა, რომელიც მინიჭებული აქვთ მოსახლეობის მართმადიდებელ სარწმუნოების მაღიარებელ მცხოვრებთ—გადატანილი იქნას ძველი სტილიდან ახალ სტილზე და შემდეგში მათი უქმობა სწარმოებდეს ახალი სტილით, სახელდობრ—ქრისტეს შობის დღესასწაული 7—8 იანვრის ნაცვლად გადატანილი იქნეს 25-სა და 26 დეკემბერზე—ნათლიღება ნაცვლად 19 იანვრისა—6 იანვარს, ფერის-ცვალება—ნაცვლად 19 აგვისტოსი 6 აგვისტოს, მიძინება—ნაცვლად 28 აგვისტოს—15 აგვისტოს და ასე.

3. შემდეგ წლებისათვის კალენდრის გამოცემისა და საეკლესიო უქმე დღეების განსაზღვრისათვის საჭიროა ამ დადგენილების 1-ლსა და მე-2-ე მუხლებში გათვალისწინებულ დებულებით ხელმძღვანელობა.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი **ლ. დუმბაძე**

საქ. პროფ. კავ. საბ. მდივანი **ხ. ჯულელი.**

ს. ს. ს. რ. შრ. სახ. კომ. საერთო-საორგან. განყ. გამგე. დ. ქურდოვანიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 4 რაიკომის ქალთა განყოფილება იტყობინება, რომ შაბათს 4 აგვისტოს საღამოს 5 საათზე შესდგება ექსკურსია ობსერვატორიაში. ყველა დელეგატმა ქალებმა თავი უნდა მოიყარონ 4 რაიკომში საღამოს 5 საათისათვის.

— კვირას, 5 აგვისტოს, შესდგება ექსკურსია მუზეუმში. ყველა დელეგატი ქალები უნდა შეგროვდენ 4 რაიკომში დილის 8 ნახ. საათზე.

— ორშაბათს, 6 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე შესდგება 4 რაიკომის ქალთა ორგანიზატორების თათბირი.

ქალთა ყველა ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

ქალთა განყოფილების გამგის მაგ. პენიაკოვა.

— წინადადება ეძლევა სერგო გაგლოევს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე უბნის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოთხსენებულ ამხანაგებს გამოცხადდნენ საუბნო კომიტეტში აგვისტოს 3 და 4-ს, თბილისის საბჭოს შესახებ ამომრჩეველთათვის მოხსენების გასაკეთებლად მასალების მისაღებად.

1. ხოჯაევი, 2. იერომაიშვილი, 3. სიმონოვი. 4. ჭელიძე ემ., 5. ბოჭორიშვილი, 6. უსოვი, 7. მირზოიანი რუბენ, 8. არხიმანდრიტოვი, 9. იუზბაშევი მარია, 10. ალოიანი, 11. ვართანოვი ეგიშ, 12. თარხანოვა, 13. ხუნდაძე სვიმონ, 14. კლემენტიევი, 15. კონოპაკი, 16. გრიკუროვა ვერა, 17. მიხაილოვა კატია, 18. ქორიძე, 19. ბახტიაროვი, 20. ვაშაკიძე, 21. მამჩიჩ, 22. არეშიძე ნინო, 23. ზალესნოვა ელენე, 24. ყორანაშვილი ალექსანდრე, 25. ფედოროვი პეტრე, 26. სალდაძე შალვა, 27. მელაძე, 28. გავრიშ, 29. რევია, 30. სერგეევი მიხეილი, 31. გრიგორიან კარო, 32. მზარეულაშვილი, 33. ტაკოევი, 34. ბაბაჯანოვი 35. მალეევი მიხეილი და 36 ჩაპლინი.

მეორე საუბნო კომიტეტი.

4 რაიკომი განმეორებით წინადადებას აძლევს ლევან მირზოიანს, ალექსანდრე აჯუნცევს, ევგენი კერესელიძეს და ალექსი მაისურაძეს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომში.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი პეპიკო და ანნა ვარდოსანიძენი, პავლე ცინცაძე და კონსტანტინე, ნინო და ელენა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეგობრებს, პირველნი ორნი—დაუვიწყარი შვილის, მეორე—უსაყვარლესი ცოლის და მესამენი—სამნი ძვირფასი დის—მე-25 შრომის სკოლის მასწავლებლის

შუშანას

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას გთხოვენ მობრძანდეთ და დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას, სახლი № 23 განოვის ქუჩაზე 5 ამ მარიამობის თვეს დილით ნაშუადღევის 4 საათზე; პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

კრ. 1038 1—1

თბილისის ალმასკომი
იწვევს მსურველთ მთელი ქალაქის ან ცალკე რაიონებათ
ორმოების და ქუჩების ქვაფენილების
სავსებით
მოსაკირწყლავად

კონდიციების ნახვა შეიძლება „უქსი“-ს კანცელარიაში (ოთახი № 40) დილის 10 საათიდან შუადღის 2 ს. განცხადებების მიღების დრო 8 აგვისტოდან შუადღის 12 საათამდე, 200 ჩერვონეცის საწინდრის დართვით.

ქალაქის მოწყობის განყოფილება.
„Отдел Благоустройства“. 2034.

თბ. ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველოს სამეურნეო სექცია
ამით აცხადებს, რომ დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
15,000 ფუთი თივის, 6,000 ფუთი ქერის და 2,000 ფ. შეშის დასამზადებლად.

დამზადების პირობები შეიძლება გაიცნოთ სამეურნეო სექციაში მადათოვის კუნძული № 1. საჯარო ვაჭრობა მოხდება აღნიშნულ მისამართით 8 აგვისტოს შუადღის 12 საათზე.
კრ. 555 3—2 უ. ქ. ს.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **ბუღალტერიის პრაქტიკული კურსი**
ი. ფ. პალატნიკოვის
პლეხანოვის პრ. № 132.
სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.
მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.
კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.
0—14

ელექტრონის სინათლის და
სამკურნალო
საწოლებით [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
ავადმყოფთ სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვ.
[illegible] ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (501 25—11)

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1625 ამბროსი გეორგობიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1039—1—1)

დაიკარგა შრომის ბირჟის წიგნაკი საბჭოთა მოსამსახურეების სექციისა ალექსანდრე სარდიონიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად (1042—1—1)

დაიკარგა პასპორტი № 11138 ატლას აგანეზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1041—1—1)

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, კრუზენშტეინის ქუჩა № 4